სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 291 (20637) ◆ ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გარდაქმნის ბედი ჩვენს ხელთაა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა

თანამედროვე არმიის ძლიერება უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე. განავითარა რა ეს აზრი, დეპუტატმა **მ. ა. მოისეევმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ისეთი შეიარაღებული ძალების შექმნის პრობლემებს, რომლებიც სამედოდ უზრუნველყოფენ საბჭოთა თავდაცვითი დოქტრინის პირობებში გონივრული საკმარისობის დონეს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებანი, რომლებიც დაკავშირებულია თავდაცვითი კომპლექსის ძლიერების ნაწილის კონვერსიასთან. ჩვენ კონვერსიის მომხრე ვართ, თქვა მან. მისი მეოხებით წყდება ახლა მნიშვნელოვანი ამოცანა — მთელი რიგი საწარმოები პროფილს ცვლიან და გამოუშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს. მაგრამ ამ პროცესს მაქსიმალურად აწონილ-დაწონილად უნდა მივუდგეთ, თქვა მან, როცა ღრმა კონვერსიულ პროცესებს ვახორციელებთ, არ უნდა შევამციროთ თავდაცვითი დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე.

ორატორმა დაწვრილებით განიხილა ეგრეთ წოდებული ეროვნული ფორმირებების საკითხი, რომელიც ახლა მწვავედ დგას. საზოგადოებაში ახლა ფართო კამათი მიდის საბჭოთა არმიის ნაწილების დაკომპლექტების ამ პრინციპის გამო. გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ასეთი მიდგომის წინააღმდეგ.

მისი აზრით, ტერიტორიული პრინციპი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, აქვეითებს ქვეყნის თავდაცვის დონეს. სამხედრო სპეციალისტმა დაამტკიცა კონკრეტული ფაქტებით, რომ არც ერთ რესპუბლიკას არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად შექმნას და შეინახოს თანამედროვე არმია. დღეს ჩვენი შეიარაღებული ძალები უმძლავრესი ინდუსტრიული და სამეცნიერო კომპლექსია. ჩვენ არ გვაქვს უფლება დავუშვათ, რომ დაქვეითდეს მისი საბრძოლო მზადყოფნა. დეპუტატმა გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა არმიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების საკითხებს, და განაცხადა, რომ არ შეიძლება დილეტანტური, ზერელე მიდგომა სამხედრო მშენებლობის პრობლემისადმი.

დეპუტატმა **გ. ა. არბატოვმა** განაცხადა, რომ ყრილობაზე დისკუსიის დროს ჯერჯერობით არ შეხებიან ისეთ თემას, როგორიც არის საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც დასახა ჩვენმა ახალმა საგარეო პოლიტიკამ. მან დასავლეთში მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებულ ჩვენი ქვეყნის სახეს, როგორც მტრის სახეს საფუძველი შეურყია: ახლა ჩვენზეა დამოკიდებული გამოვიყენებთ თუ არა მოცემულ შანსს, შევძლებთ თუ არა კრიზისის დაძლევის შემსუბუქებას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ფართო გზაზე გასვლას.

ორატორის აზრით, მსოფლიოში შექმნილი ახალი სიტუაციით წარმოქმნილი ერთ-ერთი პირველი შესაძლებლობაა სამხედრო ხარჯების სერიოზული შემცირება. ჩვენ ასეთი შემცირება, თქვა მან, უაღრესად გვჭირდება. სამხედრო მიზნების ხელგაშლილობამ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში უდიდესი მოვალე გახადა, შეარყია მისი საკონკურენტო პოზიციები, ჩვენი ეკონომიკა კი პირდაპირ გამოფიტა. დეპუტატმა გამოთქვა მოსაზრება თავდაცვისუნარიანობის სათანადო დონის მიღწევის, კონვერსიის პრობლემების გადაჭრის თაობაზე.

შეეხო რა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიური განვითარების აუცილებლობას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის აკადემიური ინსტიტუტის დირექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენმა ქვეყანამ სწრაფად უნდა იპოვოს თავისი ადგილი საერთაშორისო შრომის განაწილებაში. ამავე დროს ვითარება ამასთან დაკავშირებით არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ბევრ რაიონში გაუარესდა. წინ გადადგმულ ერთ ნაბიჯს, მიაჩნია აკადემიკოსს, მოჰყვება ნაბიჯი უკან, რომ ყოველი დაკარგული დღე ათობით მილიონი მანეთი გვიჯდება, რომელიც შეიძლებოდა მოხმარებოდა საინტერესო, ხელსაყრელი პროექტების რეალიზაციას, კერძოდ, სურსათის, სახალხო მოხმარების წარმოების, მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვების, საექსპორტო პოტენციალის განვითარების დარგში.

დასახული ეკონომიკური პროგრამის განხილვის დროს შეინიშნება განვლილ წლებში შექმნილი უნდობლობის სტერეოტიპი, თითქოს დეპუტატებმა და მთავრობას სხვადასხვა მიზნები ჰქონდეთ. ამას მიაპყრო ყურადღება დეპუტატმა **ვ. მ. რიაბკოვმა**. იგი ფიქრობს, რომ გაჩნდება მეტი კონსტრუქტივიზმი, თუ განვსაზღვრავთ ფუძემდებელ პრინციპებს. ამასთან დაკავშირებით ორატორმა დასვა კითხვა: რა გვსურს ავაშენოთ — სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი, ვიღებთ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას თუ არა?

ისტორიის განმეორება არ გვჭირდება, თქვა შემდეგ სკკპ მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა. თუ მივიღებთ კერძო საკუთრებას, ჩვენ დავუშვებთ კაპიტალიზმს და ბურჟუის ახალ კლასს. ამასთან ეს იქნება ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მატარებელი ახალგაზრდა კაპიტალიზმი, რომელიც შეეცდება მოიპოვოს პოლიტიკური საფუძველი, ძალაუფლება და ამისათვის ყველაფერს იკადრებს.

ორატორის აზრით, ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი დღეს არ არის მზად გახდეს წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, გახდეს მათი ბატონ-პატრონი. ამიტომ ეკონომიკური წინააღმდეგობის გაწევას იგი ვერ შეძლებს და გადაიქცევა მუშახელის კლასიკურ ბაზრად. ახალი ბურჟუები კი გახდებიან ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მაფიის წარმომადგენლები. ასეთი პერსპექტივისათვის ხალხი მადლობას არ გადაგვიხდის, განაცხადა დეპუტატმა.

თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი დეპუტატმა **ვ. ნ. მატიუხამ** მიუძღვნა სარესპუბლიკათაშორისო გაცვლის მდგომარეობის ანალიზს. კონკრეტული მაგალითებით მან წარმოაჩინა მისი არაეკვივალენტურობა, რომელსაც მოჰყვება სხვადასხვა სიძნელე მთელი რესპუბლიკებისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში, ჩავარდნები სოციალურ სფეროში, არასასურველი დემოგრაფიული შედეგები. გაცვლაში დისპროპორცია, რომელიც შეინიშნება, შეუძლებელს ხდის თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებას. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელმძღვანელები იძულებული არიან ხვეწნა-მუდარით მოიპოვონ რესურსები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციისათვის, სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის. ამ აზრის დასადასტურებლად ორატორმა წაიკითხა თავისი ოლქიდან მიღებული ერთ-ერთი დეპეშა, რომელშიც მორიგი თხოვნით მიმართავდნენ ცენტრს.

მან მოსთხოვა მთავრობას ეკონომიკის მდგომარეობის ამომწურავი ანალიზი: როგორ და რა ადგილზე კონკრეტულად, რა სიდიდით წარმოიშვა დისპროპორციები, რა უნდა გაკეთდეს მათ აღმოსაფხვრელად, რა სახსრები და დროა ამისათვის საჭირო.

დეპუტატ **ვ. ქ. კაშტერკოს** გამოსვლის მთავარი თემა გახდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაცია. შეაფასა რა ამ პრობლემის გადაჭრისათვის მთავრობის მიერ დასახული გეგმები, ბელორუსიის სოფლის მექანიზატორმა დაჟინებით მოითხოვა, რომ საჭიროა უსწრაფესად განხორციელდეს უფრო მასშტაბური ღონისძიებანი, რომლებიც ყოველთვის გაითვალისწინებენ რეგიონში არსებულ რადიოლოგიურ ვითარებას. თუ რამდენად რთულია იგი, მან წარმოაჩინა შიგნიდან, რადგან თვად ცხოვრობს და შრომობს ეგრეთწოდებულ მკაცრი კონტროლის ზონაში მდებარე სოფელში.

ჩერნობილის კატასტროფა ეროვნული ტრაგედიაა, და მას სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ. ამიტომაც ავარიის შედეგების ლიკვიდაციის პროგრამა გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ცალკე სტრიქონად, და ამისათვის სულაც არ არის საჭირო ველოდოთ მეცამეტე ხუთწლედს. რადგან რაც უფრო მეტი დრო გვაშორებს იმ ტრაგიკულ დღეებს, თქვა ორატორმა, დირექტიული ორგანოების კაბინეტებში მით უფრო სუსტად აღიქვამენ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების სულიერ ტკივილს.

მან დეტალურად გააანალიზა სიტუაცია, დასახა უპირველესი ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განახორციელოს მთავრობამ, უწინარეს ყოვლისა უნდა შევადგინოთ საქმის ნამდვილი ვითარების სურათი, უაღრესად საგულდაგულოდ გამოვიკვლიოთ და კონტროლი დავუწესოთ მთელ გაჭუჭყიანებულ ტერიტორიას. მერამდენედ დაისვა მწვავედ საკითხები იმის შესახებ, რომ შემცირდეს საკავშირო ფონდში დაზარალებული რაიონებიდან სურსათის მიწოდების მოცულობა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ი. რიჟკოვმა**.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ სარედაქციო კომისია, რომელიც განაგრძობს მუშაობას განსახილველი საკითხის გამო გადაწყვეტილების პროექტზე, განიხილავს წინადადებებს და შენიშვნებს, გაითვალისწინებს მათ პროექტში და განსახილველად წარუდგენს ყრილობას.

საღამოს სხდომაზე დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მორიგი საკითხის განხილვას. საარჩევნო სისტემის საკითხების თაობაზე კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. ლუკიანოვმა**.

გარდაქმნითი პროცესების დინამიკა, თქვა კამათის გახსნისას დეპუტატმა **ა. მ. მახალიევმა**, კანონშემოქმედების განსაკუთრებულ აწონ-დაწონვასა და თანამიმდევრობას მოითხოვს. მხარი დაუჭირა რა საერთოდ მოხსენების დებულებებს, ორატორმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები.

ჩემი აზრით, თქვა მან, სწორად წყდება საკითხი საოლქო საარჩევნო კრებების შესახებ. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების პროცესში ეს კრებები ხშირად ასრულებდნენ თავისებური ფილტრის როლს, წარმოადგენდნენ არასასურველთა განდევნის მექანიზმს და პირიქით, ხელს უწყობდნენ იაფფასიან პოპულიზმს, მთელ რიგ შემთხვევებში დემაგოგთა დასახელებას, რომლებიც მარჯვედ იყენებდნენ ასეთი კრებების დაბალ კულტურას.

ამან, აღნიშნა ორატორმა, გარკვეულწილად მოახდინა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სოციალური შემადგენლობის დეფორმაცია. მან წინადადება წამოაყენა გამონახონ საშუალება, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 95 და 96 მუხლებში დაამკვიდრონ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების წარმომადგენლობა.

ყირგიზეთის კომპარტიის ხელმძღვანელმა დიდი ყურადღება მიაპყრო სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანებების პოლიტიკურ საქმიანობას. მკაცრად გააკრიტიკა რა მოსკოვში ამას წინათ სახალხო ფრონტის მიერ გამოცემული ბროშურის შინაარსი, რომელიც ეხება მისი რესპუბლიკის ცხოვრებას, ორატორმა კითხვით მიმართა დეპუტატებს: ვინ მისცა მათ ამის უფლება? ყირგიზია რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების სახელით, განაცხადა მან, მინდა ვუთხრა მოსკოვის სახალხო ფრონტს: „ნუ ერევით ჩვენს საქმეებში! უმჯობესია ხელი მოჰკიდოთ სასარგებლო საქმეს მოსკოვში, თუნდაც ვაგონები გადმოტვირთოთ!“.

შემოთავაზებული კანონპროექტი, აღნიშნა დეპუტატმა **ა. ე. ანტიფეევმა**, გამოხატავს ამომრჩეველთა სურვილს. დაიმოწმა რა თავისი რეგიონის კონკრეტული პრაქტიკა, მან წინადადება წამოაყენა კანდიდატების დასახელების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეთა ინიციატივიან ჯგუფს, რომლებიც შეაგროვებენ ხელმოწერების გარკვეულ რაოდენობას, აგრეთვე საარჩევნო კამპანიის დროს სამხედრო სამსახურისაგან გაათავისუფლონ ნამდვილი სამსახურისა და თადარიგის სამხედრო მოსამსახურენი.

მთელი მსოფლიო, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა **ბ. ა. ალამურადოვმა**, ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი ყრილობის მუშაობას. ყოველი საკითხის გარშემო მიმდინარეობს სასტიკი და შეუპოვარი პოლიტიკური ბრძოლა.

ორატორმა განაცხადა, რომ კანონპროექტის ღირსებებია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება, სახალხო დეპუტატთა ყრილობების სავალდებულო მოწყობაზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით დეპუტატების დასახელებაზე, საოლქო საარჩევნო კრებების მოწყობაზე უარის თქმა. მან წინადადება წამოაყენა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება გავრცელდეს მხოლოდ მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, დადგინდეს იმ ამომრჩეველთა მინიმალური ოდენობა, რომლებსაც უფლება აქვთ კანდიდატი დაასახელონ თავიანთი შრომითი კოლექტივისაგან.

პროექტი, აღნიშნა ორატორმა, ფართო გასაქანს აძლევს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო ინიციატივას. მაგრამ უნდა გვქონდეს საერთო ნიშან-თვისებები, უფრო სწორად ვითვალისწინებდეთ საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციულ ხასიათს. რეფორმა მიზნად ისახავს განახლებასა და ერთიანობას. უნდა უკუვაგდოთ ყველა შესწორება, რომლებიც ამცირებს ადამიანებს, შეურაცხყოფს ხალხების ეროვნულ ღირსებას. დეპუტატმა შეახსენა დამსწრეთ ეროვნებათშორისი კონფლიქტები, რომლებიც მოედო ქვეყნის ბევრ რეგიონს, და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გარდაქმნისათვის საზოგადოების მთელი კონსტრუქციული ძალების კონსოლიდაციას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირების ზედმეტი რეგლამენტაციის აღმოფხვრისათვის გამიზნული კონსტიტუციის შესწორებები, რომლებიც წარუდგინეს ყრილობას, აფართოებენ მათ დამოუკიდებლობას და შეიძლება მათი მიღება. ასეთი წინადადებით დაიწყო გამოსვლა დეპუტატმა **ე. ჟაკსელეკოვმა**. მაგრამ მან აღიარა, რომ განვლილი არჩევნების შემდეგ წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც პასუხის გაცემა ახლაც ძნელია.

კერძოდ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 2,5-ჯერ ნაკლები მუშა და კოლმეურნე, ვიდრე წინა უზენაეს საბჭოში. ჩვენ გვესმის, თქვა ყაზახეთის პროფკავშირთა საბჭოს ხელმძღვანელმა, რომ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა უინტელიგენციოდ შეუძლებელია. მეცნიერებს, შემოქმედ მუშაკებს კვლავაც მხარს დაუჭერს ხალხი საბჭოების არჩევნებში. მაგრამ მშრომელთა სახელმწიფოს არ შეუძლია არ აწუხებდეს სახალხო ხელისუფლების ორგანოებში წამყვანი მშენებლობითი კლასების ღირსეული წარმომადგენლობის საკითხი.

საჭიროა მექანიზმი, რომელიც დაიცავს შრომითი უმრავლესობის ინტერესებს. ორატორმა აღიარა, რომ 70 წლის განმავლობაში ასეთი რამ არ შექმნილა. მან ეს პოზიცია შემდეგი ფაქტით დაადასტურა. უზენაეს საბჭოში საწარმოო კოლექტივების წარმომადგენელთა უმრავლესობა რომ ყოფილიყო, ისინი არ გაუშვებდნენ დადგენილებას შრომის ანაზღაურების ფონდზე პროგრესული გადასახადის შესახებ. შენიშნა რა, რომ იგი არ არის წარმომადგენლობისათვის წარმომადგენლობის მომხრე, დეპუტატი არ დაეთანხმა პოზიციასაც „კეისარს-კეისრისა, ზეინკალს-ზეინკლისა“. მან წინადადება წამოაყენა დაევალოს ყრილობის საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების დროს განაგრძოს საარჩევნო სისტემის დახვეწა.

ბევრი რამ შესაცვლელია ჩვენს კონსტიტუციაში, მიაჩნია **პ. ი. მარგველაშვილს**. მაგრამ რაც უნდა შეიცვალოს მასში, დარწმუნებული ვარ, ჩვენს ძირითად კანონში აუცილებლად იქნება ფრაზა: „მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს“. და თუ ეს ასეა, კონსტიტუციურად უნდა იყოს განმტკიცებული ხალხსა და საბჭოებს მის წარმომადგენლებს — დეპუტატებს შორის კარგად გააზრებული ურთიერთკავშირი.

მხარი დაუჭირა რა ძირითადად მოხსენებაში დასახულ ცვლილებებსა და დამატებებს, ორატორმა წამოაყენა თავისი წინადადებები, რომლებიც ეხება დეპუტატების საქმიანობას, მათი უფლებების გაფართოებას და ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მან განაცხადა, კერძოდ, რომ ამომრჩევლების განაწესების შესახებ კონსტიტუციის მუხლს უნდა დაემატოს მითითება იმის თაობაზე, რომ განაწესები შესაბამის საბჭოებში შეაქვთ სახალხო დეპუტატებს. ეს, მისი აზრით, წინასაარჩევნო კამპანიას უფრო შინაარსიანს გახდის. დეპუტატმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სახალხო დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონპროექტის დებულებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვს ამ ნორმას, თუ მას მიიღებენ.

მან ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა დამყარდეს დეპუტატთა გამოხმობისა და მათ მიერ უფლებამოსილებათა მოხსნის ზუსტი კონსტიტუციური წესი. შეეხო რა თბილისის 9 აპრილის მოვლენათა გარემოებების შესახებ კომისიის მოხსენების განხილვას მეორე ყრილობაზე, ორატორმა მოუწოდა კოლეგებს ხელი შეუწყონ მისი ანგარიშის მშვიდ, საქმიან განხილვას, წინააღუდგნენ დაძაბულობის გაძლიერებას. იმ დეპუტატებს კი, ვისაც, როგორც ორატორმა თქვა, აპრილის მოვლენების შემდეგ გაურთულდათ ურთიერთობა ამომრჩევლებთან, გადასცა „ხალხის სურვილი, საკუთარი ინიციატივით ვადამდე მოიხსნან დეპუტატის უფლებამოსილებანი“.

ბევრმა ორატორმა თავის გამოსვლებში დასვა საკითხი სახალხო დეპუტატთა ყრილობის, როგორც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი რგოლის სავალდებულო ელემენტის შესახებ. მთელ რიგ რესპუბლიკებში, ამავე დროს, ხელისუფლების უზენაესი ორგანოები უკვე უარყოფენ სახალხო ხელისუფლების ასეთი სქემის აშენებას. პირადად ჩემთვის, როგორც რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლისათვის, განაცხადა დეპუტატმა **ლ. მ. გუხკოვამ**, ძალზე ახლობელია რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობის იდეა. ჩვენი ფედერაციის უზარმაზარ ტერიტორიაზე ხომ ასზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს, რომლებსაც სურთ თავიანთი წარმომადგენლები იხილონ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. ამასთან დაკავშირებით მან შეიტანა წინადადება — მოკავშირე რესპუბლიკებს მიეცეთ უფლება თვად გადაწყვიტონ ეს საკითხი, და ასახონ ეს დებულება სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

დეპუტატ **ა. ი. ნეუმივაკინის** აზრით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება, უარი ეთქვან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძოდ, ინვალიდების ორგანიზაციებისაგან წარმომადგენლების სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებად არჩევაზე, არ არის ჰუმანური. ორატორს, რომელიც უსინათლოთა სრულიად რუსეთის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარეა, მიაჩნია, რომ ინვალიდებს ამრიგად ერთმევათ დეპუტატთა კორპუსში თავიანთი ინტერესების დაცვის არსებითი უფლება, მან წინადადება წამოაყენა მიეცეს კვოტები საბჭოთა კავშირის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდს, ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციას.

ამით დეპუტატებმა დაამთავრეს დისკუსია ამ საკითხზე.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვას. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **ე. მ. პრიმაკოვმა**.

ყრილობამ გადაწყვიტა, რომ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები რეგლამენტის შესახებ მოხსენების გამო დეპუტატებმა წერილობით გადასცენ კომისიას.

• • •

18 დეკემბერს დილიდან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები დაუბრუნდნენ საკითხს საარჩევნო სისტემის საკითხებზე სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. წინა დღეს, შაბათს, დღის წესრიგის ამ საკითხზე გაკეთდა მოხსენება და გაიმართა აზრთა გაზიარება. შეიტანეს მრავალი წინადადება და შენიშვნა.

ყრილობის კანონის პროექტის დამმუშავებელმა სარედაქციო კომისიამ განაზოგადა ისინი, და ამ სისტემატიზაციის შედეგები ყრილობას მოახსენა მისმა თავმჯდომარემ **ი. ა. მანაენკოვმა**.

შესწორებათა მთავარი მიზანი ის არის, აღნიშნა მან, რომ სრულვყოთ საარჩევნო სისტემა, გავაღრმავოთ მისი დემოკრატიზმი, მივცეთ გასაქანი რესპუბლიკებს საარჩევნო პროცესის სხვადასხვა მხარის დამოუკიდებელ განსაზღვრაში, შევქმნათ ოპტიმალური პირობები, რომლებშიც საბჭოების ფორმირებაში სახალხო ინიციატივა უფრო სრულად და თავისუფლად გამოვლინდება.

სარედაქციო კომისიამ, რომელშიც მონაწილეობდნენ იურისტი მეცნიერები, კონსტიტუციური სამართლის დარგის სპეციალისტები, ყურადღებით შეისწავლა შენიშვნები და წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს 72 სახალხო დეპუტატის გამოსვლა და ბარათი. უზენაესი საბჭოს მეორე სესიაზე, სახალხო დეპუტატთა ამ ყრილობაზე აზრთა გაზიარება, მათი საერთო ტონალობა მოწმობს, რომ ქვეყნის კონსტიტუციის სავარაუდო ცვლილებანი მომწიფდა, უფრო მეტიც — ნაწილობრივ უკვე სრულდება მოკავშირე რესპუბლიკებში, კომისია მხარს უჭერს ამ მიდგომებს.

მომხსენებელს მისცეს მრავალრიცხოვანი შეკითხვები, საარჩევნო სისტემის ზოგიერთი პოზიციის, მასში შემოთავაზებულ ცვლილებათა გამო გაიშალა დისკუსია, რომლის დროსაც აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა **თ. მ. ბურლაცკიმ, ე. ა. ევტუშენკომ, ვ. ა. შაპოვალენკომ, ს. ვ. ბელოზერცევმა, ი. თ. კლოჩკოვმა, ა. ა. სობჩაკმა, ე. უ. კიმმა, ნ. ს. დიადენკომ, ი. ი. ბოლდირევმა, დ. დ. ვენედიქტოვმა, ვ. ვ. ხმურამ, ვ. ი. სტადნიკმა, ა. ი. კაზანიკმა, ი. ი. ზასლავსკიმ, ს. მ. რიაბჩენკომ, ა. ნ. კრაიკომ, ვ. ი. კირილოვმა, ვ. ი. ალქსნისმა, ლ. ა. კუზნეცოვმა, გ. ვ. სტაროვოიტოვამ, ი. რ. ბოიარსმა.**

შემდეგ თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა** გამოაცხადა, რომ,

(დასასრული მე-8 გვ.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 289, 290.

რეპორტაჟი ყრილობიდან

მეორე კვირის დასაწყისი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე სამგლოვიარო განწყობილება სუფევდა. 18 დეკემბერს, ორშაბათს, მოსკოვი და მასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა ეთხოვებოდნენ აკადემიკოს ანდრია სახაროვს. დილის სხდომის დაწყებამდე დეპუტატები ყრილობათა სასახლის ფოიეში გრძელ რიგად დამწკრივდნენ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ სპეციალური გამოშვების რიგში, რომელიც ანდრია სახაროვს მიეძღვნა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ — 14 დეკემბერს, როცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა სესიებად მუშაობდა, თქვენი კორესპონდენტი დაესწრო სარეგიონთაშორისო დეპუტატთა ჯგუფის სხდომას, სადაც ანდრია სახაროვი გამოვიდა. რამდენიმე საათის შემდეგ კი მას გული გაუჩერდა. და აი, დაიბეჭდა მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა, რომელიც დღეს ანდერძად ისმის.

„მე მინდა ჩამოვაყალიბო ოპოზიციის ფორმულა. რა არის ოპოზიცია? ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ იმისათვის, რასაც ამჟამად შვრება ხელმძღვანელობა, მას კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა, რამდენიმე წლით აჭიანურებს გარდაქმნის პროცესს, იგი ამ წლებში ქვეყანას ისეთ მდგომარეობაში ტოვებს, როცა ყველაფერი გაპარტახდება, ინტენსიურად გაპარტახდება. ინტენსიურ საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის მთელი გეგმები აუხდენელი დარჩება, და ქვეყანაში უკვე მატულობს კიდეც გულგატეხილობა. ერთადერთი რევოლუციური გზა, ერთადერთი შესაძლებლობა გარდაქმნის რადიკალიზაციაა“.

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ სპეცგამოშვების შუა გვერდზე მგლოვიარედ ეთხოვებიან დიდ მოქალაქეს. დარდით არის აღსავსე მიხეილ გორბაჩოვის და ჯორჯ ბუშის სიტყვები, ჩვენი ქვეყნის მრავალი გამოჩენილი ადამიანის, მათ შორის ლიანა ისაკაძის სიტყვები: „რამდენჯერ მინდოდა, მივსულიყავი, გადავხვეოდი და მადლობა მეთქვა ანდრია სახაროვისათვის მაშინაც, როცა მას ტაშს უკრავდნენ, და მაშინაც, როცა გაბოროტებული დარბაზი სისინებდა — „ჯვარს აცუ იგი“... არასოდეს არ დაფიქრებულა იმაზე, ხელსაყრელი იყო თუ არა მისთვის ესა თუ ის საქციელი. და ახლა თითქოს მოგვმართავს სიტყვებით: „დიახ, ბევრი რამ დამატყდა თავს, მაგრამ ბედნიერი ვარ, რადგან სინდისი არ მქენჯნის, ვერც აწმყომ გამსრისა და არც მომავლის მეშინია“.

მრავალი დეპუტატის თხოვნის მიუხედავად, ყრილობას ორშაბათს, ნაშუადღევს, ანდრია სახაროვის დაკრძალვასთან დაკავშირებით, არ გადაუდვია თავისი მუშაობა. მხოლოდ სამ-ნახევარი საათის შესვენება გამოცხადდა განსვენებულის გამოსათხოვებლად. საღამოს სხდომაზე კი აზრთა ჭიდილმა, პოზიციათა ჭიდილმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ყველამ, ვინც თვალს ადევნებს ყრილობის მუშაობას, უკვე იცის, რაოდენ დაძაბული და რთული იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანისათვის კენ[illegible] რომ [illegible] წინადადება [illegible] 19 დეკემბერს [illegible] ბისას თქვა თავისი სიტყვა, როცა თავმჯდომარემ შესაძლოდ ცნო შეეკვეცა ჩვეულებრივი რეგლამენტი, და წესრიგისათვის არ მოუწოდა დარბაზს, რომელიც თითქმის აღარ უსმენდა ორატორს. ჩვენი დეპუტატების წინადადებანი საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტს გადაეცა, რომელიც ან კენჭისსაყრელად გამოიტანს მათ, ან უარყოფს და ასეთი გადაწყვეტილების მიზეზს განგვიმარტავს.

და მაინც, არ შეიძლება არ ითქვას: საეჭვოა გონივრული იყოს დემოკრატიული გარდაქმნების პასიური ლოდინი. მას დიდი ბრძოლა და შეუპოვრობა სჭირდება.

ყრილობის მუშაობის ამ დღეს, ისევე როგორც სხვა დროსაც, დავრწმუნდით, რომ „მემარჯვენე“ ძალები პოზიციების დათმობას არ აპირებენ, ხშირად კი აშკარადაც უტევენ გარდაქმნას. ასე იყო, მაგალითად, როცა ყრილობათა სასახლის ფოიეში დეპუტატებს ურიგებდნენ სტამბურად, ორ ფერად დაბეჭდილ, მაგრამ ხელმოუწერელ, უფრო სწორედ, ანონიმურ ფურცლებს მსხვილი ასოებით დაწერილი მოწოდებით: „მოითხოვეთ სიმართლე თბილისზე!“. ამ ანონიმური ფურცლის შინაარსიც, და, ასე ვთქვათ, სტილიც ეჭვს არ ტოვებდა, თუ ვინ იყო ავტორი, მაგრამ არავის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის პროკურატურასაც არაფერი უღონია დეპუტატებისათვის ამ ანონიმური ფურცლების დარიგების წინააღმდეგ. საინტერესოა, რატომ? და კიდევ ერთი ძალზე საინტერესო რამ: ვინმემ რომელიმე სხვა საკითხის გამო რომ მოისურვოს ყრილობათა სასახლეში დაბეჭდილი პროდუქციის გავრცელება და ამასთან ინკოგნიტოდ დარჩენა, მოახერხებს კი ამას? მე მგონი, ვერა, მე მგონი, მაშინვე მოჰკითხავენ პასუხს. უფრო სწორედ, პასუხს აგებინებენ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. მაშ, ამჯერად რატომ არ მოხდა ასე?

ირაკლი ინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს იურისტთა კავშირის წერილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა, გაეცნო რა „სოვეტსკაია როსიაში“ გამოქვეყნებულ მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის, იუსტიციის გენერალ-მაიორის ვ. ვასილიევის ინტერვიუს, გამოთქვამს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ პუბლიკაციის ფორმისა და შინაარსისადმი.

რომ არაფერი ვთქვათ ინტერვიუში ჩამოყალიბებული ფაქტებისა და მოსაზრებების სინამდვილეზე, ჩვენი აზრით, პროკურორის მიერ დაკავებული პოზიცია კანონიერების მორალური საფუძვლებისა და იუსტიციის ზნეობრივი საწყისების უგულებელყოფის ნიმუშია.

გაზეთმა, რომელიც გამოვიდა მაღალფარდოვანი განცხადებით — „გამოძიებით დადგენილია“, არც კი ცნო საჭიროდ გარკვეულიყო იმ აშკარა წინააღმდეგობებში, რომელთა წინაშე აღმოჩნდა ვ. ვასილიევი, როცა განაცხადა, საქმის გამო გამოძიება ჯერ არ დამთავრებულაო. საკითხავია, ასეთ შემთხვევაში რა დადგენაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

ხომ არ ისახავს ეს ინტერვიუ მიზნად სიცრუეში გახლართოს საზოგადოებრიობა ქვეყნის პარლამენტის მიერ ამ საქმის განხილვის წინ, რომელმაც პოლიტიკური შეფასება უნდა მისცეს მომხდარ ტრაგედიას?

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ინტერვიუში სრულიად უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის გამო ადამიანური წუხილის ნატამალი და იმის შიშიც კი არ არის, რომ ამგვარი რამ შეიძლება განმეორდეს.

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ ამგვარი, არცთუ იშვიათი გამოსვლები სულაც არ უწყობს ხელს გარდაქმნის ინტერესებს და სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების გზებს. ხომ არ უნდა მივიჩნიოთ „სოვეტსკაია როსიაში“ ამ პუბლიკაციის გამოჩენის ფაქტი იმის ცდად, რომ შეფარვით ჩამოაგდონ ეროვნული შუღლი?

თავხედობას ბოლო არ უჩანს

გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ თავისი მიმდინარე წლის 19 დეკემბრის ნომერში რუბრიკით „შეხედულება აღმაშფოთებელ პრობლემებზე“ კვლავ თავს ესხმის რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც, თითქოს „ანაგვიანებენ“ 9 აპრილის ამბებს, ამახინჯებენ ფაქტებს, ტენდენციურად აშუქებენ საქართველოში შექმნილ ვითარებას. გაზეთი კვლავ ისე გაკადნიერდა, რომ უდიერად იხსენიებს და აშკარად ცილს სწამებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს ა. სობჩაკსა და ე. შენგელაიას. ასევე დიდი უკმაყოფილება არის გამოთქმული საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მისამართით, რომელმაც, თურმე, გაბედა და უარყოფითად შეაფასა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პუბლიკაციები.

ჩვენი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ სავსებით არაობიექტური და ძირგამომპალი პოზიცია თბილისში 9 აპრილის ამბებისა და საერთოდ ეროვნული პრობლემების გაშუქებასთან დაკავშირებით. შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ამა წლის ივლისში, ხოლო შემდეგ დეკემბერში, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ მიერ გამოქვეყნებული მასალები 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით და ისინი შეაფასა როგორც ჭეშმარიტებას მოკლებული, აშკარად ტენდენციური, ერებს შორის შუღლისა და სიძულვილის გამღვივებელი. გარდა ამისა, გაზეთმა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან გადმობეჭდა მასალები, რომლებიც მიმართულია ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ეყრდნობა აშკარად ყალბ ცნობებსა და წყაროებს. გაზეთი სისტემატურ შეურაცხყოფას აყენებს რესპუბლიკურ გაზეთებს — „ზარია ვოსტოკას“, „ლიტერატურულ საქართველოს“, „მოლოდიოჟ გრუზიას“, უსამართლოდ ლანძღავს ღვაწლმოსილ ავტორებს. ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის არაერთგზის მოწვევის მიუხედავად, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ხელმძღვანელები თავს არიდებენ პასუხისმგებლობას, გაურბიან საქმისათვის უცილობლად საჭირო დიალოგს. პრეზიდიუმის ბოლო სხდომაზე ასეთი მოწვევა, კერძოდ, მიიღეს გაზეთის რედაქტორის მოადგილემ ю. კრაკოვეცკიმ და სიყალბეში ყველაზე გაწაფულმა ავტორმა ი. პავლოვმა, მაგრამ მოწვეულნი ამჯერადაც არ გამოცხადდნენ. პრეზიდიუმმა გადაწყვიტა დასვას საკითხი რესპუბლიკის პროკურატურის წინაშე გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის იმ თანამშრომელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც ტენდენციურად აშუქებენ 9 აპრილის ტრაგედიის ამბებს, ფალსიფიცირებული მასალების გამოქვეყნებით ხელს უწყობენ ხალხთა შორის შუღლისა და უნდობლობის გაღვივებას.

ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო იმედს გამოთქვამს, რომ გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ საკადრის პასუხს გასცემს გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ამ პროვოკაციულ გამოხდომებს.

ჩვენ ვეკითხებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ა. პატრიკეევს: ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს, სანამდე უნდა გაგრძელდეს ი. კრაკოვეცკისა და მის თანამოაზრეთა პარპაში, ვინ აძლევს მათ ამის უფლებას ქართულ მიწაზე?

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნო.

მ. ს. გორბაჩოვის საუბარი კ. ფომვიხანთან

18 დეკემბერს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კეისონ ფომვიხანს.

ლაოსის ხელმძღვანელმა ილაპარაკა ქვეყანაში მიმდინარე განახლების პროცესებზე, რომელთა ცენტრშია სახალხო მეურნეობის მართვის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა, ყველა ეკონომიკური წყობის თანასწორუფლებიანი განვითარება. ჩვენ წინაშეა პირველი დადებითი შედეგები, გაფართოვდა სამინაო ბაზარი. რასაკვირველია, განვითარება იოლად არ მიმდინარეობს. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტია ესწრაფვის ობიექტურად შეაფასოს წარმოშობილი სოციალური სიძნელეები და დროულად გამონახოს მათი შერბილების გზები. კ. ფომვიხანმა მ. ს. გორბაჩოვს გააცნო თავისი ამასწინანდელი ვიზიტები ჩინეთში, იაპონიასა და საფრანგეთში, რომლებმაც, მისი შეფასებით, ხელი შეუწყო რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობაში მის უფრო აქტიურ ჩაბმას.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა ლაოსელი ამხანაგების მიერ თავიანთი ქვეყნის სპეციფიკურ პირობებში ნეპის ლენინური იდეების გამოყენების გამოცდილებას. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ახალი საზოგადოების მშენებლობის გზების მრავალვარიანტულობას.

საბჭოთა ხელმძღვანელმა კ. ფომვიხანს გააცნო გარდაქმნის ახლანდელი ეტაპი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მუშაობა. სხვადასხვაგვარი მონაჭორების მიუხედავად, თქვა მან, ჩვენ ვკამათობთ და ახლა ვწყვეტთ თავის საფუძველში ერთ მთავარ ამოცანას — როგორ გამოვავლინოთ უფრო სრულად შექმნილ კონკრეტულ პირობებში სოციალიზმის ეკონომიკური, დემოკრატიული, კულტურული და უბრალოდ ადამიანთა პოტენციალი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უცვლელად ერთგულობენ სოციალისტურ იდეას. დღეს უმთავრესად კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როგორ გავაკეთილშობილოთ სოციალიზმი, გავამდიდროთ მთელი თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევებით, დავძლიოთ საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები. მართალია, ზოგიერთი გაჰყვირის, გვიწინასწარმეტყველებს „სოციალიზმის დაღუპვას“, გარდაქმნის მარცხს. და როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რეტროგრადები უკავშირდებიან ულტრარადიკალებს, უარყოფენ რეალისტურ კონსტრუქციულ გადაწყვეტებს. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი გარდაქმნის გზას არ გადაუხვევენ.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიური პროცესების დაცვას. კონცეპტუალური თვალსაზრისით შეეხნენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში შექმნილ ვითარებას. აქაც იკვალავს გზას ახალი პოლიტიკური აზროვნების, თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპები. ამ მიმართულებით სასარგებლო ნაბიჯებს დგამენ ინდოჩინეთის ქვეყნებიც. თანამოსაუბრეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირი და ლაოსი ჩინეთთან ურთიერთობის სტაბილურ, მტკიცე განვითარებას.

მ. ს. გორბაჩოვმა და კ. ფომვიხანმა აღნიშნეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაწყებული შემობრუნება კონფრონტაციიდან დიალოგისაკენ. ახლა მთავარია თავიდან ავიცილოთ მრავალტანჯულ კამბოჯაში სამოქალაქო ომის ესკალაცია, კონსტრუქციულად გაგრძელდეს დაინტერესებული მხარეების მოლაპარაკება.

საუბარმა საბჭოთა კავშირ-ლაოსის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ამხანაგობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა. ([illegible])

სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მ. ჩალფას მომავალი ვიზიტი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მარიან ჩალფა საბჭოთა კავშირს სამუშაო ვიზიტად ეწვევა 1989 წლის 20 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო სისტემის საკითხთა გამო სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა. ი. ლუკიანოვის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

დისკუსიებისა და პოლემიკის ატმოსფერო, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა პირველმა ყრილობამ და დაამკვიდრა უზენაესი საბჭოს ორმა სესიამ, როგორც ჩანს, ტრადიციად იქცა, რასაც მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მაგრამ ზოგჯერ როგორი შეურიგებელიც უნდა იყოს ამ ტრიბუნიდან გამოთქმული შეხედულებები, ჩვენ, ალბათ, ყველა საფუძველი გვაქვს მიგვაჩნდეს: ორი ძირითადი რეფორმის — ეკონომიკური რეფორმისა და პოლიტიკური რეფორმის — მოძრაობა დაიწყო, ჩვენ უკვე გვაქვს თუნდაც პირველი, თუნდაც გაუბედავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არანაკლებ სანუკვარი შედეგები.

თუ სწორია მარქსის აზრი იმის შესახებ, რომ „იდეა“ ყოველთვის თავს ირცხვენდა, როცა შორდებოდა „ინტერესს“, ასევე სწორად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ განახლების პროცესი უფრო მჭიდროდ უკავშირებს გარდაქმნის იდეას მილიონობით ადამიანის ინტერესებს.

ამ პროცესის კალაპოტით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რაზეც უკვე ბევრი რამ ითქვა ამ დღეებში.

საარჩევნო სისტემის საკითხების გამო სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია თქვენს განსახილველად, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისათვის მიცემული პირდაპირი დავალების რეალიზაციას წარმოადგენს.

ობიექტურად საქმე ისე წარიმართა, რომ ამ პასუხსაგები აქტის მიღებით ქვეყანა წყვეტს პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომლის დროსაც უნდა შევქმნათ ხელისუფლების ორგანოების ახალი სისტემა რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, სოფლად. საბჭოთა ხელისუფლების ამ ყველაზე მასობრივი რგოლის წარმატებით ფუნქციონირებაზე, იმაზე, თუ როგორ შეეხამება იგი სახალხო ხელისუფლების საერთო სისტემას, როგორ ამოქმედდება, უდიდესწილად არის დამოკიდებული გარდაქმნის პრაქტიკული მიმდინარეობა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მარტის არჩევნების გამოცდილებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ასეთ პირველმკვალავ საქმეში ყველა უცილობელი ხარვეზის მიუხედავად, ამ არჩევნებს, ყოველ შემთხვევაში დღეისათვის, არა აქვს პრეცედენტი ჩვენს პრაქტიკაში, არც დემოკრატიზმის, საჯაროობის, მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობის, არც თვით წინასაარჩევნო ბრძოლის სიმძაფრის მხრივ. მართალია, ყველაფერი ახალი როდი შეაფასა დადებითად საზოგადოებრივმა აზრმა. მართალია, არჩევნების დროს იყო ნაკლოვანებანი, მაგრამ ვერავინ იდავებს იმაზე, რომ მძლავრი წინსვლა მოხდა თვით საარჩევნო პრაქტიკაში, ვერავინ გახდის საეჭვოს იმ ფაქტს, რომ ამის შედეგად შეიქმნა ხელისუფლების პრინციპულად ახალი უმაღლესი რგოლი — ახალი თავისი შემადგენლობით, ფუნქციებით, მუშაობის ორგანიზაციით, შემოქმედებითი პოტენციალით.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ მომავალი არჩევნები რესპუბლიკებში და ადგილებზე გახდება „განვლილის ავტომატური გამეორება“? ვფიქრობ, რომ ეს არ მოხდება. ალბათ საბჭოთა სახალხო ხელისუფლების სახე ახალ ნიშან-თვისებებს შეიძენს. ამას უნდა შეუწყოს ხელი ახალმა სამართლებრივმა ბაზამ, რომელიც საკავშირო კონსტიტუციის ნორმებზე დამყარებით ითვალისწინებს არა მარტო განვლილი არჩევნების პლუსებს და მინუსებს, არამედ მოქალაქეთა მკვეთრად გაზრდილ სოციალურ აქტიურობასაც, საზოგადოების თანამედროვე ვითარების თავისებურებებსაც.

ეროვნული პოლიტიკის საკითხებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა, დეცენტრალიზაციის პრინციპები, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა განმტკიცება, ფორმალური უნიფიკაციის აღმოფხვრის ზუსტი გზა — ყოველივე ამან საშუალება მისცა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს თავისი 1989 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით მწვანე შუქი აენთოს არჩევნების შესახებ რესპუბლიკური კანონმდებლობის, აგრეთვე იმ აქტების ძირეულ განახლებას, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკებში და ადგილებზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემას და ფუნქციას. ამასთან შესაძლებლად არის მიჩნეული შესაბამისი შესწორებები შევიტანოთ რესპუბლიკურ კონსტიტუციებში და მივიღოთ არჩევნების შესახებ ახალი კანონები ჯერ კიდევ მანამ, სანამ საკავშირო კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შესაბამის კანონპროექტს დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

რა ახასიათებს ამ დროისათვის ადგილებზე გაწეულ მუშაობას? როგორ ეფარდება იგი ახალ კონსტიტუციურ დებულებებს? სსრ კავშირის ძირითადი კანონის რომელ კონკრეტულ ცვლილებებზეა ლაპარაკი?

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი კონსტიტუციის დამატებებისა და ცვლილებების არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მნიშვნელოვნად მდიდრდება საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული შინაარსი. მკვიდრდება არჩევნების პროცედურის რეგულირების მექანიზმების მრავალფეროვნება. ძირითადი საკითხებისადმი ერთიანი მიდგომის დროს, რაც საფუძვლად უძევს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციას, გაცილებით უფრო თანამიმდევრულად და გულდასმით ითვალისწინებს ეროვნული და ადგილობრივი პირობების სპეციფიკას.

ყოველივე ის გარკვევით ჩანს ყრილობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ კანონპროექტში.

უწინარეს ყოვლისა, არის წინადადება საკავშირო კონსტიტუციიდან ამოვიღოთ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემის ზედმეტად მკაცრი განსაზღვრა. 89-ე და 91-ე მუხლების ახალი რედაქცია არ ითვალისწინებს იმას, რომ აუცილებლად შეიქმნას სახალხო დეპუტატთა ყრილობები ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამასთან, გათვალისწინებულია რესპუბლიკების საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იქითკენ იხრება, რომ არ იქონიონ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორრგოლიანი სისტემა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია, სადაც იმოქმედებს სახალხო დეპუტატთა ყრილობაც და უზენაესი საბჭოც. და ეს გასაგებიცაა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ამ რესპუბლიკის უზარმაზარ ტერიტორიას და რთულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას.

სსრ კავშირის 89-ე და 145-ე მუხლების ახალ რედაქციაში არის წინადადება, უარი ვთქვათ ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი საბჭოების სისტემის უნიფიკაციაზე. ჩვენ უკვე ახლა გვაქვს, ვთქვათ სტანიცის, ყიშლაღის, აულის, აპილინკის საბჭოები. ზოგან ჩნდება ეროვნული რაიონებისა და ეროვნული სასოფლო საბჭოების ფორმირების აუცილებლობა. ახალმა კონსტიტუციურმა ნორმამ ხელი უნდა შეუწყოს ამას, რითაც განამტკიცებს რესპუბლიკების სუვერენიტეტს. ამას მოითხოვს თვით ცხოვრება, მისი პრაქტიკული საჭიროებანი.

მხედველობაშია მიღებული, რომ შესაძლოა განსხვავებული იყოს რესპუბლიკებში საბჭოების პრეზიდიუმების ფორმირების ხერხები, ამასთან დაკავშირებით დასახულია, დაზუსტდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის 91-ე მუხლის დებულება. ზოგ რესპუბლიკაში, საკავშირო ორგანოს ანალოგიით, პრეზიდიუმები შეიქმნება იმ თანამდებობის პირთაგან, რომლებიც ჩამოთვლილი არიან კონსტიტუციაში. ასეთი პრინციპი გათვალისწინებულია ახლა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში. ლიტვის სს და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში კი იგი ეხამება პრეზიდიუმში სხვა პირების არჩევის შესაძლებლობასაც. გამორიცხული არ არის ისეთი ვარიანტიც, როცა პრეზიდიუმის მთელ შემადგენლობას აირჩევს უზენაესი საბჭო. ამიტომაც საკავშირო კონსტიტუციის 91-ე მუხლის ახალ რედაქციაში გამოყენებულია განზოგადებული ტერმინი „პრეზიდიუმები ყალიბდება“, მის კონკრეტულ შევსებას კი მოგვცემს თითოეული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

არის წინადადება, სსრ კავშირის კონსტიტუციის 138-ე და 144-ე მუხლებში უარი ვთქვათ იმ დებულებათა ზედმეტ დეტალიზაციაზე, რომლებიც განსაზღვრავენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი ორგანოების ადგილსა და როლს. აქ დარჩება მხოლოდ ყველაზე ზოგადი, ამოსავალი ნორმები. ამრიგად, რესპუბლიკებს ექმნებათ აღნიშნული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფრო ფართო შესაძლებლობანი.

როცა ვლაპარაკობთ კონსტიტუციურ სიახლეთა ამ ბლოკზე, როგორც ჩანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის ძირითადი კანონიდან სახალხო დეპუტატთა ყრილობის, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი რგოლის ელემენტის ხსენების ამოღება არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ საეჭვო გავხადოთ თვით ყრილობების იდეა. პრაქტიკულად ამ იდეის განხორციელება, სსრ კავშირის ყრილობისა და უზენაესი საბჭოს სახით სახელმწიფო ხელისუფლების ორი ერთარსი უმაღლესი რგოლის შექმნა გვისახავს ფართო სახალხო წარმომადგენლობისა და საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების მუდმივი განხორციელების შეხამების რეალურ და უკვე გამართლებულ გზას. ქმნიან რა საკავშიროსაგან განსხვავებულ ხელისუფლების სტრუქტურას, რესპუბლიკებს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ მიმართონ ხალხის სრული ხელისუფლების საბჭოთა ფორმის აშენების ამ ზოგად პრინციპებსაც, ისარგებლონ იმით, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ მასში.

როგორც იცით, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ყოველმხრივ განვიხილეთ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო წარმომადგენლობის საკითხი. დისკუსია საკმარისად მწვავე იყო. ამის შედეგად გადაწყდა სსრ კავშირის კონსტიტუციის 95-ე მუხლიდან ამოგვეღო მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავდა მითითებას, რომ შეიძლება სახალხო დეპუტატების არჩევა უშუალოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. მიზანშეწონილად არის მიჩნეული სახალხო დეპუტატთა არჩევნები მოეწყოს მხოლოდ საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც, როგორც წინათ, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საზოგადოებრივი ფორმირებები. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ყაზახეთის სს რესპუბლიკა, რომლის უზენაეს საბჭოში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობა, და ბელორუსიის სს რესპუბლიკა, სადაც 360-დან 50 მანდატი ეძლევათ ომისა და შრომის ვეტერანთა ადგილობრივ ორგანიზაციებს, ინვალიდთა, უსინათლოთა და ყრუთა საზოგადოებებს.

ამ ცვლილებათა გათვალისწინებით სსრ კავშირის კონსტიტუციის 95-ე, 96-ე, 97-ე და 98-ე მუხლებში არ მოიხსენიება არჩევნები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რაც შეეხება კონსტიტუციის ნორმებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემადგენლობის შესახებ, ისინი მთლიანად არის შენარჩუნებული. ეს კი ნიშნავს, რომ არავითარ შემთხვევაში საეჭვო არ არის სსრ კავშირის ახლანდელი მოწვევის იმ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებანი, რომლებიც არჩეული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში განხილვისას მხარდაჭერა ვერ პოვა წინადადებებმა, რომ დაწესდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის ანდა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, რომელსაც უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს, უზენაესი ანდა ადგილობრივი საბჭოს გარდა. რა თქმა უნდა, აქ საქმე სახელწოდება, ჩვენთვის ახალი ტერმინი, ფორმალური მხარე კი არ არის, არამედ საკითხის არსია. მოსახლეობის მიერ საბჭოს თავმჯდომარის უშუალო არჩევა, პრეზიდენტის ძალაუფლების დაფუძნება რესპუბლიკაში ნიშნავს თანამდებობის პირის გაჩენას, რომელიც პრაქტიკულად დამოკიდებული არ არის წარმომადგენლობით ორგანოზე, რაც ეწინააღმდეგება საბჭოების სრულხელისუფლებიანობის თვით იდეას, მათი აგებისა და ფუნქციონირების ერთიან პრინციპებს. ამის შესახებ, შეგახსენებთ, დიდი დავა იყო ჯერ კიდევ XIX პარტიულ კონფერენციაზე, შემდეგ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და, ალბათ, ყურად უნდა ვიღოთ ამის თაობაზე მოყვანილი მოსაზრებანი და არგუმენტები.

კონსტიტუციური შესწორებანი ეხება აგრეთვე არჩევნების ვადებსა და დანიშვნის წესს. საკავშირო კონსტიტუციის მოქმედი 90-ე მუხლი ადგენს, როგორც ცნობილია, რომ სახალხო დეპუტატთა არჩევნები ინიშნება სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა. ეს ეხება საბჭოების ყველა რგოლს, თუმცა ცხადია, რომ მრავალი მათგანისათვის ასეთი ვადა სავსებით შეიძლება სხვაგვარი იყოს, რაც, კაცმა რომ თქვას, ახლა დაფიქსირებულია კიდეც ზოგიერთი რესპუბლიკის კონსტიტუციებსა და ახალ საარჩევნო კანონებში. საკავშირო კონსტიტუციაში კი შემოთავაზებულია ოთხი თვის ვადა შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის.

საზოგადოებრიობა აქტიურად განიხილავდა საკითხს საოკრუგო წინასაარჩევნო კრებების ბედის შესახებ. მეტმა წილმა რესპუბლიკებმა, თურქმენეთის სს რესპუბლიკის გარდა, უარი თქვეს ამ ინსტიტუტზე. უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში გათვალისწინებულია ოლქის ამომრჩეველთა კონფერენციების მოწყობა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებანი შესაბამის საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციისათვის სახალხო დეპუტატებად კანდიდატების წარდგენის შესახებ. იმისათვის, რომ არ შევზღუდოთ რესპუბლიკები რაღაც ჩარჩოებით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო წინადადებას იძლევა საერთოდ გამოვრიცხოთ საკავშირო კონსტიტუციის მე-100 მუხლიდან დებულება ამ კრებების შესახებ. ამრიგად, ამ საკითხის გადაჭრაში რესპუბლიკებს ახლა სრული დამოუკიდებლობა ექნებათ.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესაძლებლობათა გასაფართოებლად. ამ მიზნით სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-100 და 101-ე მუხლებში გათვალისწინებულია სახალხო დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლება მიეცეთ საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს, უზრუნველყოფილ იქნეს მათი მონაწილეობა საარჩევნო კომისიებსა და წინასაარჩევნო აგიტაციაში. ეს ნორმა ახლა დამკვიდრებულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც.

შემოთავაზებული შესწორებების განხილვის დროს ზოგიერთმა დეპუტატმა გამოთქვა აზრი, რომ კონსტიტუციის მე-100 მუხლს დაემატოს წესი, რომლის თანახმად საარჩევნო ბიულეტენებში შეტანილი კანდიდატების რიცხვი უნდა აღემატებოდეს არსებული დეპუტატთა მანდატების რიცხვს. მაგრამ განხილვის მონაწილეთა უმრავლესობა არ დაეთანხმა ამ თვალსაზრისს, მხარი დაუჭირა იმას, რომ არ შეიზღუდოს ამომრჩეველთა უფლება თვითონ გადაწყვიტონ ბიულეტენში შესატანი კანდიდატურების რაოდენობის საკითხი. ამის გათვალისწინებით სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში შენარჩუნებულია მოქმედი ნორმა — ბიულეტენში ნებისმიერი რიცხვის კანდიდატების შეყვანის შესაძლებლობის შესახებ. უზენაესი საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით, იგი უფრო დემოკრატიულია.

მარტში გამართულმა არჩევნებმა გამოავლინა, რომ საჭიროა საკავშირო კონსტიტუციას დაემატოს პრინციპულად ახალი დებულება, რომლის მიზანია სახალხო დეპუტატობის ყველა კანდიდატისათვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ცნობილია, რომ პრაქტიკაში არცთუ იშვიათად კანდიდატის არა პირადი თვისებები, არამედ მისი წინასაარჩევნო კამპანიის პროპაგანდისტული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდებოდა არჩევნებში გამარჯვებისა თუ დამარცხების გადამწყვეტი ფაქტორი. ამგვარი „ცალმხრივი უპირატესობანი“ არანაირად არ ეთანხმება სოციალისტური დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-100 მუხლში შემოთავაზებულია შევიტანოთ დებულება, რომელიც საშუალებას აძლევს საარჩევნო კომისიას გაწიოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფოს, საწარმოების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების ხარჯზე შექმნილი ერთიანი ფონდიდან. ასეთმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს თანაბარი „სასტარტო პოზიციები“ სახალხო დეპუტატობის თითოეული კანდიდატისათვის.

და კიდევ ერთი საკითხი. იგი ეხება 91-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ შესაძლებლობის ორი ვადით უზრუნველყოფას, რომ თავიანთი თანამდებობანი დაიკავონ საბჭოების მიერ არჩეულმა ან დანიშნულმა პირებმა. პრინციპი, უთუოდ, აუცილებელია. ამავე დროს, მხედველობაში ვიღებთ რა სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაზრდილ გარანტიებს, პროექტში შეტანილია წინადადება არ გავრცელდეს მათზე ეს წესი და გაკეთდეს შესაბამისი შენიშვნა 91-ე მუხლში.

ასეთია, ამხანაგებო, მოკლედ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შესატანად ყრილობისადმი წარდგენილი ცვლილებებისა და დამატებების „პაკეტი“. ისინი თავს უყრიან ნორმებს, რომლებიც შეიმუშავეს მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, განაზოგადებენ საერთო მიდგომებს, რომლებსაც იყენებენ რესპუბლიკის კანონმდებლები. ხდება თითქოსდა საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის ურთიერთშეღწევა, ურთიერთგამდიდრება, რაც შეესაბამება ჩვენი ფედერაციის პრინციპებს. კავშირი ეყრდნობა რესპუბლიკების კანონშემოქმედებას, ხოლო, რესპუბლიკები, თავის მხრივ, ხელმძღვანელობენ საკავშირო კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპებით.

უნდა ვთქვა, რომ კანონის პროექტის შემუშავებაში, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. მრავალი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, უზენაესი საბჭოს კომიტეტებისა და მისი პალატების კომისიების წარმომადგენლები, წამყვანი სახელმწიფოთმცოდნე მეცნიერები. საარჩევნო კანონმდებლობის გადასინჯვის საკითხები განიხილეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა სპეციალურ თათბირზე, კანონის პროექტი გულმოდგინედ განიხილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, ხოლო მერე, საფუძვლიანი და კონსტრუქციული დისკუსიის შემდეგ, რომლის დროსაც თითოეული შესწორება ყოველმხრივ შეაფასეს, მოიწონა სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ და შემოიტანა თქვენს განსახილველად.

ბუნებრივია, რომ იმ კონსტიტუციური ნორმების სრულყოფისას, რომლებიც არჩევნებს ეხება, უმაღლესი საბჭო გვერდს ვერ აუვლიდა მოქმედი ძირითადი კანონის მთელი რიგი სხვა დებულებების ცვლილებებთან, აგრეთვე მთლიანად ახალი საკავშირო კონსტიტუციის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო წრეს. ახალი რეგლამენტის, სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის, კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის მიღებაც ხომ გულისხმობს კონსტიტუციის ნორმებში გარკვეული დაზუსტებების შეტანას. ჩვენ, ამრიგად, თითქოსდა, „ვარემონტებთ“ საკავშირო კონსტიტუციის შესაბამის კარებს და მივდივართ წინ კონსტიტუციური რეფორმის გზით.

ახლა მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, იდეების დახვავება, კონცეპტუალური პოლიტიკური, სამართლებრივი „მარაგნაკეთის“ დაგროვება, რომლებმაც პერსპექტივაში უნდა შეადგინონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შინაარსი. ამაზე იყო სჯა-ბაასი სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი კონსტიტუციური კომისიის ამასწინანდელ სხდომაზე. განსაზღვრა რა პრინციპული მიდგომა ამ დოკუმენტის შემუშავების პრობლემებისადმი, კომისიამ დაასკვნა, რომ გარდაქმნის ამ ეტაპზე, როცა უამრავ კითხვაზე ჯერ კიდევ პასუხი გვაქვს გასაცემი, როცა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების ურთულესი პროცესები ჩამოყალიბების სტადიაშია, ახალი კონსტიტუციის ნაჩქარევმა მიღებამ შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენოს მის შინაარსსაც და ავტორიტეტსაც. ეს გასაგებიც არის. ხომ არ შეიძლება, მართლაც, შევქმნათ ისეთი ფუძემდებლური პოლიტიკურ-იურიდიული დოკუმენტი, როგორიც არის კონსტიტუცია, სანამ პრაქტიკაში არ ჩამოყალიბდება საზოგადოების წინაშე მდგომი ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ხასიათის ამოცანათა მთელი კომპლექსის გადაწყვეტის მექანიზმები. ყოველგვარმა ცდამ წინდაუხედავად გადავსინჯოთ კონსტიტუცია მთლიანად, ისევე როგორც განზრახვამ მოვახდინოთ ყველა ურთიერთდაკავშირებული კონსტიტუციური დებულების გამჭოლი კორექტირება, შეიძლება მკაცრად იძიოს ჩვენზე შური. აქ გვმართებს ვიყოთ რეალისტები და ერთხელ კიდევ რეალისტები. შეგვეძლოს, როგორც ძველნი ამბობდნენ, „ვიჩქაროთ დინჯად“.

ამას მკაფიოდ მოწმობს, კერძოდ, ძირითადი კანონის იმ თავის ცვლილებებთან დაკავშირებით არაერთგზის შემოტანილი წინადადებების განხილვა, რომელიც საბჭოთა ფედერაციის, სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის პრინციპებს ამკვიდრებს. საჭიროა ეს კორექტივები? დიახ, ისინი უდავოდ საჭიროა. ამასთანავე ცხადია, რომ აღნიშნული თავის გადასინჯვა ვერ მოეწყობა, სანამ არ მივიღებთ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშისა და რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონებს. თავის მხრივ, ამ კანონთა მიღება მოითხოვს ცვლილებათა შეტანას არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების — ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, არამედ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, გენერალური პროკურორის კომპეტენციაში, როგორც ამას გვთავაზობენ მოლდაველი დეპუტატები, სხვა საკავშირო ორგანოების კომპეტენციაში, რომ აღარა ვთქვათ რა იმ მოქმედ დებულებათა არსებითს კორექტირებაზე, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მთელ რიგ საკითხებს რომ შეეხება.

დღეს უდავოა, რომ აუცილებელია შეიცვალოს კონსტიტუციის დებულებანი საკუთრებითი ურთიერთობის შესახებ. როგორც ცნობილია, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი სსრ კავშირში საკუთრების კანონის პროექტი და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველთა პროექტი, რომლებიც გამოხატავენ არა მარტო ჩვენი ეკონომიკური სისტემის, არამედ აგრეთვე მთლიანად საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების არსს. ცხადია, რომ ამ კანონების მისაღებად საჭირო გახდება კონსტიტუციის ზოგიერთი საკვანძო დებულების გადამუშავება.

გარდა ამისა, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვითვალისწინებდეთ, რომ ამ პროექტებზე უზენაეს საბჭოში, მის კომიტეტებსა და კომისიებში ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, მთელ რიგ საკითხებში ვერა და ვერ შევძელით მიგვეგნო ისეთი გადაწყვეტისათვის, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა. საკმარისია გავიხსენოთ დისკუსიები მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრების უფლების შესახებ. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, ჯერ არ გვქონია ისეთი პრაქტიკა, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოგვეტანა არა მარტო პროექტები, რომლებიც უზენაესმა საბჭომ განიხილა, არამედ აგრეთვე ვარიანტები, რომლებიც მოამზადეს ცალკეულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკებმა, დეპუტატთა ჯგუფებმა. სწორედ ამიტომ, კანონმდებელს გზა რომ გაეხსნას, საჭიროა კვლავ და კვლავ გამოვავლინოთ და შევაფასოთ შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური შედეგები, სრულად გამოვიყენოთ მთელი ჩვენი საზოგადოების გამოცდილება, ცოდნა და შემოქმედებითი პოტენციალი.

არანაკლებ მწვავედ დგას სოციალისტური საწარმოს შესახებ კარგი კანონის საჭიროების საკითხი. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომიტეტებისა და მისი პალატების კომისიების აზრით, სერიოზულად არის დასახვეწი. გარდა ამისა, სპეციალისტთა აზრით, ამ კანონის ამოსავალი ბაზა უნდა გახდეს ეკონომიკური რეფორმის ზოგადი კონცეფცია, რომელიც ჩვენი ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი.

მოქმედ კონსტიტუციურ ნორმებთან გარკვეული განსხვავებებია ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების პროექტშიც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ერთი სიტყვით, ასეთი საკითხები მრავლად დაგროვდა, რასაც მოწმობს ახლანდელ ყრილობაზე გაჩაღებული დისკუსიაც. პირდაპირ გეტყვით: უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი სოლიდარობს იმ სახალხო დეპუტატებს, რომლებიც იჩენენ გულწრფელ დაინტერესებას გარდაქმნის გაღრმავებით, და ილტვიან, რათა რაც შეიძლება მალე მივიღოთ კანონები ყველა ამ საკითხზე.

როგორ მოვიქცეთ შექმნილ სიტუაციაში? ველოდოთ ახალი კონსტიტუციის მიღებას, თუ დავადგეთ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანისა და ამ საფუძველზე ახალი კანონების მიღების გზას?

აქ შეგვიძლია მოვიშველიოთ პრეცედენტი, რომელიც უკვე გამოვიყენეთ საარჩევნო სისტემის მიმართ, როდესაც სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მოიწონა შესაბამის კონსტიტუციურ შესწორებათა პროექტი, რომელთა საფუძველზეც გააჩაღეს რესპუბლიკებმა კანონშემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფო ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მოსამზადებლად. აღნიშნულ კონსტიტუციურ შესწორებათა საბოლოო დამტკიცება ყრილობაზე დაასრულებს საარჩევნო სისტემაში მომხდარი გარდაქმნების სამართლებრივ გაფორმებას.

ამ პრეცედენტის მოშველიება საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ კონსტიტუციის სტაბილურობა მისი მთელი რიგი დებულებების შეცვლისას და ამავე დროს ვმართოთ კონსტიტუციური სივრცის თანდათანობითი განახლება, აღმოვფხვრათ სხვაობა ცხოვრების რეალობებსა და სამართლებრივ ნორმებს შორის, როგორც მარქსი ამბობდა რეალურ და იურიდიულ კონსტიტუციას შორის. ამასთან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზეც და მეორე ყრილობის დღის წესრიგის განხილვის დროსაც გამოვიტანეთ დასკვნა, რომ აქ საჭიროა არა აჩქარება, არამედ ნორმალური კონსტიტუციური პროცესი, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა იმ საკითხთა მთელი გამისადმი, რომლებზეც ახლა მუშაობს პირველი ყრილობის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისია.

როგორც იცით, უზენაესი საბჭოს ასეთ პოზიციას მხარი დაუჭირა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ, ილტვის რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების თანამიმდევრული განხორციელებისათვის, საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნისათვის, პარტია ყოველნაირად შეუწყობს ხელს იმ გზის რეალიზაციას, რომ არა მარტო შევიტანოთ საჭირო ცვლილებები სსრ კავშირის კონსტიტუციაში, არამედ საბოლოო ანგარიშით, — შევქმნათ კიდეც ჩვენი ქვეყნის ახალი ძირითადი კანონი. ამ პროცესის ფარგლებში ყოველმხრივ კონსტიტუციური [illegible] გა[illegible] -ოდ იქნეს ამოგდებული. ეს სრულად ეხება კონსტიტუციის მეექვსე მუხლსაც, რომელიც განსაზღვრავს კომუნისტური პარტიის ადგილსა და როლს სოციალისტურ პოლიტიკურ სისტემაში, თუმცა თავისთავად მოცემული მუხლი დღესდღეობით არავითარ დაბრკოლებებს არ უქმნის არც არჩევნების თავისუფალ მოწყობას და არც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებას მთლიანად.

აი რატომ გვესახება მიზანშეწონილად, რომ ჩვენმა ახლანდელმა ყრილობამ დაავალოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დააჩქაროს იმ კანონთა მიღება, რომლებიც ეხება საკუთრებას, მიწას, სოციალისტურ საწარმოს, საგადასახადო სისტემას, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგად საწყისებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილების გამიჯვნას, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგად საწყისებს, და წარმოადგინოს სახალხო დეპუტატთა მორიგი ყრილობის განსახილველად წინადადებანი, რათა სსრ კავშირის კონსტიტუციაში შევიტანოთ შესწორებანი ამასთან დაკავშირებით. ამავე დროს ყრილობას შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნოს, რომ მას შესაძლოდ მიაჩნია შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ კონსტიტუციის ეს შესწორებანი იქამდეც, სანამ მათ სახალხო დეპუტატთა მორიგი ყრილობა განიხილავდეს.

ამას ასე გარკვევით იმიტომ ვამბობ, რომ ამრიგად მთლიანად იქნება რეალიზებული ბევრი დეპუტატის წინადადებანი, მათ შორის წინადადება, რომელსაც შეიცავს აკადემიის დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა, დღეს რომ დაგვირიგდათ. ჯგუფის აზრით არ შეიძლება გადაიდოს საკუთრების, მიწის, სოციალისტური საწარმოს, გადასახადის ფუნდამენტური კანონების მიღება და რომ უნდა მივიღოთ მეორე ყრილობის დადგენილება ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების შესახებ დაუყოვნებლივ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებისთანავე, ისე, რომ აღარ დაველოდოთ მათს მოწონებას სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობაზე.

გარდა ამისა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შემოაქვს წინადადება მივიღოთ ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩვენს მიერ შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ სახალხო დეპუტატთა წინადადებების გათვალისწინებით დეტალურად დაამუშაოს საკითხები მოქმედი კონსტიტუციის პირველ და მე-2 თავებში და მე-3 კარში შემავალ მთელ რიგ დებულებათა ცვლილებების შესახებ, რომლებიც ეძღვნება სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებს.

ეს მოითხოვს, ამხანაგო დეპუტატებო, რომ თქვენს ხელთ არსებულ კანონპროექტს დაემატოს ორი ახალი მუხლი, რომელთა ტექსტი თქვენი დავალებით მოამზადა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ჩვენ შევიტანთ ამ ტექსტს სარედაქციო კომისიაში.

როდესაც ახლებური პოლიტიკური აზროვნების სულისკვეთებით ვაყალიბებთ ჩვენს მიდგომებს ამ პრობლემებისადმი, მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი უბრალო რამ: გარდაქმნით შობილი ყოველი ახალი კანონი თავისებური საშენი მასალა იქნება ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის შესაქმნელად.

ჩვენ უკვე შევუდექით ამ მუშაობას. იგი ვერ ჰგუობს ვერც ფაციფუცს და ვერც ზოზინს. იგი მოითხოვს მტკიცედ შევასრულოთ ლენინის დანაბარები, რომ კანონშემოქმედებისას სამმაგი წინდახედულება გვმართებს, რათა ცხოვრებით შობილი კანონი აქტიურად ზემოქმედებდეს მასზე, ქმნიდეს ახალ-ახალ წანამძღვრებს მისი განახლებისა და პროგრესის გზით სოციალიზმის წინსვლისათვის.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო სთხოვს ყრილობას განიხილოს წინადადებანი, რომლებიც მან შეიმუშავა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ

ე. მ. პრიმაკოვის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი რეგლამენტის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის სტილსა და ფორმებს. ეს კი მნიშვნელოვანწილად გავლენას მოახდენს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნის პირობებში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე. ამის შედეგად გაიზრდება ყურადღება განხილული საკითხისადმი, მე ვიტყოდი, უფრო დაკვირვებული იქნება მუშაობა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობისა და კანონმდებლობის ინსტიტუტისა და სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სწავლულ იურისტთა მიერ მომზადებული რეგლამენტის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი მიმდინარე წლის აგვისტოს დამდეგს გაეგზავნა ყველა სახალხო დეპუტატს.

მივიღეთ უამრავი შენიშვნა და წინადადება დეპუტატებისაგან, სახელმწიფო ორგანოებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისაგან.

ისინი განვიხილეთ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის საკითხთა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხთა კომიტეტებში მოსმენის დროს. თავისი შენიშვნები გამოგზავნა უზენაესი საბჭოს თითქმის ყველა სხვა კომიტეტმა და კომისიამ.

ამის შემდეგ რეგლამენტის პროექტი ნოემბერში — ორჯერ, პირველი და მეორე წაკითხვით განვიხილეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც მოიწონა იგი, და დაგვავალა შევიტანოთ კორექტივები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ახალი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით და განვიხილოთ მეორე ყრილობაზე. ეს მუშაობა გაწეულია.

რეგლამენტის პროექტზე მრავალსაფეხუროვანი, საგულდაგულო მუშაობა კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ კანონშემოქმედებითი პროცესი ჩვენს ქვეყანაში უკვე გასცდა ტრადიციულ ფარგლებს, როცა საკანონმდებლო აქტების პროექტები, როგორც წესი, მზადდებოდა უზენაესი საბჭოს გარეშე და მხოლოდ კენჭისყრისათვის შედიოდა უზენაეს საბჭოში.

დღეს, როცა სახალხო დეპუტატთა ყრილობას წარვუდგენთ უზენაესი საბჭოს მიერ მომზადებულ და მოწონებულ რეგლამენტის პროექტს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო შემდეგი.

ჯერ ერთი, რეგლამენტი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ემყარება დემოკრატიის, საჯაროობის, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების პრინციპებს.

მეორე, რეგლამენტი ეფუძნება სსრ კავშირის არსებული კონსტიტუციის დებულებებს, მაგრამ მთელი რიგი კონსტიტუციური დებულებები რეგლამენტში განვითარდა და დაკონკრეტდა საზოგადოების გარდაქმნა-განახლების გათვალისწინებით.

მესამე, რეგლამენტში გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორი სესიის, მისი კომიტეტების, კომისიების, სახალხო დეპუტატების საქმიანობის პრაქტიკა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის იმ დადებითის, პოზიტიურის კანონმდებლობით დამკვიდრება, რაც უკვე გაჩნდა პრაქტიკაში. ამავე დროს რეგლამენტი ითვალისწინებს საპარლამენტო საქმიანობის არსებულ მსოფლიო გამოცდილებას იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება ჩვენი ქვეყნის პირობებს.

მეოთხე, რეგლამენტზე მუშაობა ვერ დამთავრდება მისი მიღებით. როგორც იგივე მსოფლიო გამოცდილება და, კაცმა რომ თქვას, ჩვენი, თუნდაც ხანმოკლე საპარლამენტო პრაქტიკა ცხადყოფს, რეგლამენტის სრულყოფა ხანგრძლივი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მუდმივი პროცესია.

ნება მიბოძეთ დაწვრილებით არ დავახასიათო კანონპროექტის ცალკეული კარები და მუხლები. იმედი მაქვს, რომ თქვენ გაეცანით მის კონცეფციას, ძირითად დებულებებს, მნიშვნელოვანწილად შეამოწმეთ ისინი საკუთარი მუშაობის დროს. და ბოლოს, იგრძენით, თუ რაოდენ რთულია საკითხების განხილვის პროცედურა ყრილობაზე, უზენაეს საბჭოში, მის კომიტეტებსა და კომისიებში, შეაფასეთ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები ამ თვალსაზრისითაც.

რეგლამენტის პირველი და მთავარი ფუნქციაა საკანონმდებლო პროცესის პროცედურული უზრუნველყოფა და, ალბათ, დეპუტატების ყველაზე მეტი წინადადება დაკავშირებული იყო სწორედ ამ ფუნქციის სრულყოფასთან. ბევრი მათგანი გათვალისწინებულია პროექტში.

დავიწყოთ იმით, რომ მთელი რიგი დეპუტატების (ალექსეევი, ლუბენჩენკო, გრიაზინი) აზრით, კანონპროექტებზე მუშაობის ცენტრი უნდა იყოს კომიტეტები და კომისიები. მისი ახლანდელი სახით რეგლამენტის პროექტში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომიტეტები და პალატების მუდმივი კომისიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კანონპროექტების მომზადებასა და წინასწარ განხილვაში. სწორედ ასეთი პროცედურის ეფექტიანობაში უკვე თავად დავრწმუნდით სავსებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის მაგალითით.

რეგლამენტის პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე კანონპროექტის ორი წაკითხვა: ამავე დროს ამოცანებში, რომლებიც წყდება პირველი და მეორე წაკითხვის დროს, არის კარდინალური განსხვავება. პირველი წაკითხვის პროცესში მიმდინარეობს არა პროექტების დეტალური განხილვა, არამედ განისაზღვრება, მტკიცდება კანონპროექტის კონცეფციის საფუძველი, გამოითქმის დამოკიდებულება ალტერნატიული პროექტებისადმი, თუ ასეთებს შემოიტანენ.

პროექტის მუხლების მიხედვით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წერილობითი სახით შემოტანილ შესწორებებზე, კონკრეტულ შენიშვნებსა და წინადადებებზე მუშაობა ხორციელდება კომიტეტებსა და კომისიებში მეორე წაკითხვამდე. კომიტეტებს და კომისიებს ამ ეტაპზე, ანუ მეორე წაკითხვამდე, პროექტებში შეაქვთ შეთანხმებული შესწორებანი და დაზუსტებანი. იმ წინადადებების გამო კი, რომლებსაც არ იღებენ, მოტივირებულ ახსნა-განმარტებას აძლევენ მათ ავტორებს.

დეპუტატთა წინადადებების საფუძველზე განისაზღვრება მეორე წაკითხვის ხასიათი და ფორმა, რაც, ჩვენ, ალბათ, მოგვცემს უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო მუშაობის ინტენსიფიკაციის საშუალებას, უფრო ორგანიზებულსა და ქმედითს გახდის მას. მეორე წაკითხვის დროს ძირითად ინფორმაციას პალატების სხდომაზე აკეთებს მეთაური კომიტეტი, რომელიც განაზოგადებს, ყველა კომიტეტისა და კომისიის აზრს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, ინფორმაციას აკეთებენ სხვა მხარეების წარმომადგენლები. შემდეგ იწყება განხილვა მუხლების მიხედვით, რომლის დროსაც გამოსვლის საშუალება აქვთ მხოლოდ უარყოფილი შესწორებების ავტორებს, თუკი ისინი ამას მოითხოვენ. ამრიგად, არ განმეორდება — ამჯერად სატელევიზიო იუპიტერების შუქზე — ის განხილვა, რომელიც უკვე წარმოებდა კომიტეტებსა და კომისიებში.

კანონპროექტებისა და მათი შესწორების განხილვის ასეთი წესის განსაზღვრისას გავითვალისწინეთ ბევრი დეპუტატის (სობჩაკის, კრაიკოს, რიაბჩენკოს, ტიმაშოვისა და სხვების) წინადადებები.

რეგლამენტის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელზეც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, არის ის, რომ მასში ფიქსირებულია დეპუტატთა აზრების პლურალიზმის უფლება, დეპუტატთა უმცირესობის ინტერესებისა და უფლებების დაცვა. კერძოდ, რეგლამენტის პროექტის სპეციალური თავი მიეძღვნა საკითხს იმის თაობაზე, რომ დეპუტატები გაერთიანდნენ მუდმივ ან დროებით ჯგუფებად ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტის, ამა თუ იმ პროექტების, პლატფორმების შემუშავებისა და დაცვის მიზნით. ასეთი გაერთიანებები არ განისაზღვრება ეროვნულ-ტერიტორიული ფარგლებით ან იმით, თუ რომელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეკუთვნიან ისინი. მთელი რიგი წამოყენებული წინადადებები მიზნად ისახავენ ასეთი სადეპუტატო ჯგუფების საქმიანობის სრულყოფას. რეგლამენტის ახლანდელ პროექტში, კერძოდ, გათვა-

(დასასრული მე-3 გვ.).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ

(დასასრული)

ისწინებულია ეკოლოგიის საკითხთა კომიტეტისა და მეცნიერე კომიტეტის წინადადებები ის თაობაზე, რომ ნებისმიერი სადეპუტატო ჯგუფის შექმნისათვის საკმარისია წერილობით აცნობონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს.

პროექტში შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კამათში სადეპუტატო ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობას და ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორგანოების ფორმირებაში ასეთი ჯგუფების მონაწილეობას.

გათვალისწინებულია წინადადება სახელობითი კენჭისყრის მოწყობის შესახებ, თუ ამას მოითხოვს ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სულ ცოტა მეხუთედი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სახალხო დეპუტატთა სულ ცოტა მეხუთედი. შეტანილია კორექტივები კენჭისყრის დროს ელექტრონული სისტემის გამოყენებით, გათვალისწინებულია ფარული და ღია კენჭისყრის პირობები.

ახლა კენჭისყრის შესახებ. ამჟამად უზენაეს საბჭოში ჩვენ ვმუშაობთ დროებითი რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ კონსტიტუციურ ცვლილებებს ვიღებთ სიობრივი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი ხმით, კანონებს — აგრეთვე სიობრივი შემადგენლობის მათა უმრავლესობით, დანარჩენ გადაწყვეტილებებს — დამსწრეთა უმრავლესობით, მიზანშეწონილად მესახება ეს პრაქტიკა გადავიტანოთ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობაშიც.

საერთოდ, ვფიქრობ, დაეთანხმებით იმას, რომ ჩვენი მუშაობის დემოკრატიზაციის მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა და ეს მხოლოდ მისასალმებელია. უმცირესობის უფლებების გარანტია ნებისმიერი დემოკრატიული პარლამენტის საქმიანობის აუცილებელი ატრიბუტია.

ამავე დროს განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ უმრავლესობას უფლება აქვს მოსთხოვოს უმცირესობას შესაბამისი დამოკიდებულება მის მიმართ.

შეიძლება მას არ დავეთანხმოთ, შეიძლება ვცადოთ დავამტკიცოთ, რომ იგი არ არის სწორი, მაგრამ დაუშვებელია მხოლოდ საკუთარი თავი მიგაჩნდეს წინასწარმეტყველად, შეურაცხმყოფელ იარლიყებს აწებებდე სხვას, პატივს არ სცემდე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რეგლამენტის პროექტში შემოთავაზებულია მუხლები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენს სხდომებზე სათანადო საპარლამენტო ატმოსფეროს. კერძოდ, პროექტში აღნიშნულია, რომ ორატორმა არ უნდა იხმაროს სიტყვაში უხეში და არაკორექტული გამოთქმები, არ მოუწოდოს უკანონო და ძალისმიერი მოქმედებისათვის. ამ ნაწილში კანონპროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყო სახალხო დეპუტატების გრიაზინის, პლოტნიექსისა და სხვათა წინადადებანი. ის ფაქტი, რომ როგორც ყრილობაზე, ისე უზენაესი საბჭოს სხდომებზე უკვე არაერთგზის წავწყდომივართ არაკორექტული და უხეში საქციელის შემთხვევებს, სრულიად ნათლად მოწმობს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ეთიკის სადეპუტატო კომისია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით შემოთავაზებული ღონისძიებანი აშკარად მომწიფდა და ჩვენ მათ მხარს დავუჭერთ.

ამხანაგებო! რეგლამენტის წარმოდგენილი პროექტის მნიშვნელოვანი სპეციფიკა ის არის, რომ მისი ექვსი მუხლის (4, 50, 77, 98, 99, 173) მიღება მოითხოვს სსრ კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი დაზუსტებების შეტანას.

ლაპარაკია მუხლებზე, რომლებიც ეხება საკანონმდებლო პროცესის უზრუნველყოფას, უზენაესი საბჭოს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების შემადგენლობის განახლებას არა ზუსტად ერთი მეხუთედით, არამედ ერთ მეხუთედამდე; იმ ნორმების რეგლამენტის პროექტში შეტანას, რომლებიც გულისხმობს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გამოხმობის შესაძლებლობას, სსრ კავშირის მთავრობისა თუ მისი ცალკეული წევრებისადმი უნდობლობის გამოცხადებას. არის კონსტიტუციური ხასიათის სხვა ცვლილებანიც.

ახლავე მინდა შევნიშნო, რომ ასეთი გზა არ შეიძლება ტრადიციულად ჩაითვალოს, ჩამოყალიბებული წესების თანახმად ხომ რეგლამენტი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. მაგრამ ასეთი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს ინტენსიურად ვიმოქმედოთ გარდაქმნის პირობებში. ამიტომ იძულებული ვართ გადავდგათ არატრადიციული, მაგრამ ესოდენ აუცილებელი ნაბიჯი.

მე მიზნად არ ვისახავ გამოსვლაში დაწვრილებით გავაანალიზო ყველა გათვალისწინებული წინადადება და შენიშვნა — ეს მეტისმეტად დიდ დროს წაგვართმევდა. აღვნიშნავ მხოლოდ ასეთ თავისებურებას — მათი უმრავლესობა მიზნად ისახავს საპარლამენტო საქმიანობის შემდგომ დემოკრატიზაციას და ეხება რეგლამენტის ყველა ფუნქციას — საკანონმდებლოსაც, განმკარგულებელსაც და საკონტროლოსაც.

კონკრეტულად ზოგიერთი ცვლილების შესახებ. გათვალისწინებულია დეპუტატთა წინადადებანი კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვაში პალატების გაუპიროვნებლობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ. გათვალისწინებულია, რომ ეროვნებათა საბჭო იმ კანონპროექტის განხილვის პროცესში, რომელიც უპირატესად ამ პალატის გამგებლობას განეკუთვნება, ავლენს და ითვალისწინებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების აზრს საკითხებზე, რომლებიც მათს ინტერესებს ეხება. სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის განხილვის პროცედურის შესახებ კარში გათვალისწინებულია, რომ ეს დოკუმენტები წინასწარი განხილვისათვის ეგზავნებათ კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას და ეროვნებათა საბჭოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განახლების პრობლემებზე ჩვენ მივიღეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა და საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტის შეთანხმებული წინადადება. ჩვენი აზრით, შემოთავაზებული ფორმულირება უფრო დემოკრატიულია, საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად უზრუნველვყოთ როტაციის ქმედითობა და შეგვინარჩუნებს შესაძლებლობას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში დავტოვოთ აქტიურად მომუშავე პარლამენტარები.

დეტალურად განვიხილეთ მთელი რიგი სახალხო დეპუტატების წინადადებანი, რომლებიც ზოგიერთი თანამდებობის პირის როტაციას ეხება. მაგალითად, დეპუტატების (ბიშერი, ბოიარსი და სხვები) ჯგუფის აზრით, პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეებზე უნდა ვრცელდებოდეს როტაციის პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხლით. დეპუტატები ბოროდინი, ლიხანოვი, დანილოვი ვარაუდობენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიებისა და კომიტეტების თავმჯდომარეთა კანდიდატურები უზენაესი საბჭოს დანარჩენი წევრების თანაბრად უნდა ახლდებოდეს სავალდებულო წესით. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის საკითხთა კომიტეტიც იმ აზრისაა, რომ როტაციისათვის არ უნდა იყოს არავითარი გამონაკლისი.

რეგლამენტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადებისას ეს ერთიმეორის საწინააღმდეგო წინადადებანი ნაწილობრივ გათვალისწინებულია. 50-ე მუხლის შენარჩუნებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყოველწლიური განახლება არ ხდება პალატების თავმჯდომარეებისა და მუდმივი კომისიების და კომიტეტების თავმჯდომარეების მიმართ, პროექტში შეტანილია ნორმები იმის შესახებ, რომ პალატებს უფლება აქვთ გადაირჩიონ პალატების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები (მუხლი 64), ხოლო მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების თავმჯდომარეთა უფლებამოსილებანი შეიძლება შეწყვიტონ პალატებმა ვადამდე (მუხლი 77).

დეპუტატ დუდკოს წინადადების გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს ყრილობის სამანდატო კომისიისა და დროებითი კომისიების სამართლებრივი სტატუსის მოწესრიგებაში უზუსტობათა თავიდან აცილებას, დაზუსტებულია პროექტის მესამე კარის სახელწოდება და მისი შინაარსი.

სახალხო დეპუტატებს ლუბენჩენკოს, ნაზარენკოს, რიჟოვს, იაბლოკოვს საჭიროდ მიაჩნიათ რეგლამენტს დაემატოს ნორმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისადმი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და მათი ორგანოებისადმი წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობისა და მისი განზრახ დამალვისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელთა, სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. პროექტში შეტანილია ახალი მუხლი 182 ამ საკითხზე.

რა თქმა უნდა, ესოდენ რთულ და ვრცელ დოკუმენტში, რომელიც ეხება მრავალ, ხშირად წინააღმდეგობრივ, ინტერესებს, შეუძლებელია გავითვალისწინოთ ყველა წინადადება და შენიშვნა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოვალედ მიგვაჩნია თავი დავასაბუთოთ პოზიცია, დავამყაროთ დეპუტატთან ურთიერთობა. სხვა გზა ნიშნავს გადაწყვეტილებათა მონოპოლიის დამკვიდრებას, რასაც კატეგორიულად უარვყოფთ.

მთელმა რიგმა სახალხო დეპუტატებმა შემოიტანეს წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში საკითხები წყდებოდეს 15 რესპუბლიკის კონსენსუსის საფუძველზე. ეს წინადადება ყოველმხრივ და სხვადასხვა ვარიანტით განვიხილეთ და მიუღებლად ვცანით, რადგან ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ფედერალურ პრინციპს. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ თავის რაღაც დეტალებში იგი შეიძლება შემდგომში რეალიზებული იყოს.

რეგლამენტის პროექტი შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სამდივნოს სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო დებულებას სამდივნოს შესახებ — სსრ კავშირის უზენაესი საბჭო. მთელ რიგ სახალხო დეპუტატებს შემოჰქონდათ წინადადებანი თვით უზენაესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სამდივნოს სტრუქტურისა და შტატების დამტკიცების შესახებ. ეს წინადადება მიზანშეუწონლად წარმოგვიდგება. ცხოვრებას განუწყვეტლივ შეაქვს ცვლილებანი სამდივნოს სტრუქტურასა და მის შტატებში. უაღრესად არაგონივრული იქნებოდა ყოველ ჯერზე განგვეხილა ეს საკითხი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე და დეპუტატთა ყურადღება ჩამოგვეცილებინა უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების გადაჭრისაგან.

დეპუტატთა მთელი რიგი წინადადებანი ეხება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეზიდიუმის საქმიანობას. დეპუტატთა აზრით, რეგლამენტში მისი მუშაობის შინაარსის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. შემოთავაზებული იყო, კერძოდ, პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიყვანოთ სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლები. წინადადებას ვიძლევით აქ ვიხელმძღვანელოთ კონსტიტუციით, რომლის თანახმად ყრილობის სხდომების გაძღოლა ეკისრებათ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს.

დეპუტატებმა გაბრუსევმა და კირილოვმა დასვეს საკითხი, რომ მოწესრიგდეს ადგილობრივ პრესაში სახელობითი კენჭისყრის შესახებ ცნობების გამოქვეყნების წესი. რამდენადაც ეს პრობლემები პრაქტიკულად შეუძლიათ გადაწყვიტონ ადგილობრივმა ორგანოებმა ყრილობისა და უზენაესი საბჭოს სხდომების მასალებიდან შესაბამისი მონაცემების გადაბეჭდვის გზით, დეპუტატთა წინადადება მიღებული არ არის.

დეპუტატ მედვედევს მიზანშეწონილად მიაჩნია რეგლამენტით გათვალისწინებული იყოს სახალხო დეპუტატთა ხმების ორი მესამედის კვალიფიცირებული უმრავლესობით სსრ კავშირის კანონის მიღების შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი რეგლამენტისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის 108-ე და 115-ე მუხლების შესაბამისად, სსრ კავშირის კანონები მიიღება დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა კი ეხება მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლას. ამასთან დაკავშირებით დეპუტატ მედვედევის წინადადება მიღებული არ არის.

შემოვიდა ისეთი წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოითხოვს დამატებითს შესწავლას სხვა საკანონმდებლო აქტებში მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

ამხანაგო დეპუტატებო!

რეგლამენტის პროექტი მოიცავს 185 მუხლს. ესოდენ მოცულობითი დოკუმენტი ჩვენ ჯერ არ განგვიხილავს. მაგრამ, ალბათ, შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ცოტა დოკუმენტი თუ მოგვიმზადებია ასე გულისყურით. რეგლამენტის [illegible] მისი განხილვისას მარტო მეორე წაკითხვით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომაზე 21 ნოემბერს გამოვიდა 18 სახალხო დეპუტატი. გარდა ამისა, იმავე სხდომაზე მიღებული იყო კიდევ 20 სახალხო დეპუტატის წერილობითი შესწორებანი.

სულ კი რეგლამენტის პროექტის გამო შემოვიდა 80-ზე მეტი დეპუტატის 240-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება. ყველა ისინი, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, ყურადღებით განიხილეს სამუშაო ჯგუფში, რომელშიც სახალხო დეპუტატთა გარდა შედიოდნენ თვალსაჩინო იურისტი მეცნიერები.

ყოველივე ეს, ცხადია, საფუძველს გვაძლევს მივიღოთ ეს დოკუმენტი.

გამორიცხული არ არის, რომ შეიძლება მთელ რიგ დეპუტატებს სურდეთ შემოიტანონ ახალი შენიშვნები. აქ შემოგთავაზებდით შემდეგ ვარიანტს. რეგლამენტის დიდი მნიშვნელობისა და ყოველი დამატებისადმი გულმოდგინე მიდგომის საჭიროების გათვალისწინებით არ გავხსნათ ახლა დისკუსია, არამედ დეპუტატების შენიშვნები წერილობითი სახით გადავცეთ რეგლამენტის სარედაქციო კომისიას. შეიძლებოდა დაგვევალებინა მისთვის ორშაბათს მოახსენოს ყრილობას, თუ ამ შენიშვნებიდან რომელი შეიძლება მივიღოთ და რომელი არა. რომელიმე წინადადებაზე უარის შემთხვევაში, ვფიქრობ, ყრილობას შეუძლია მისცეს მათ ავტორებს შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი.

დარწმუნებული ვარ, რომ რეგლამენტის მიღება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებას, მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, ჩვენი სახალხო ხელისუფლების სოციალისტური პრინციპების გაღრმავებას.

დეპუტატ ვ. ზ. აგრბას გამოსვლა

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქ. სოხუმი (სოხუმის საქალაქო ეროვნულ-ტერიტორიული ოლქი, საქართველოს სსრ).

პატივცემულო პრეზიდიუმო, ტივცემულო სახალხო დეპუტაბო!

დღეს ყველასათვის გასაგებია, მ ეროვნული თვითგამორკვევა ეს არის თვითმმართველობა ფართოესი თვალსაზრისით, როლის დედაარსია დამოუკიდებლობა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ერიტორიის, ეკონომიკისა და ოციალური განვითარების მართვის ახალი მექანიზმის შექმნას.

ყველა რესპუბლიკა ამუშავებს ალი მექანიზმის პირობებში თავისი შემდგომი განვითარების კოლცეფციას. ყველაზე მეტი სირთულე აქვთ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ვინაიდან გარკვეული ნსერვატიზმისა და სტერეოტიპული აზროვნების შედეგად სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა თქოს რაღაც უკანა პლანზე ება. ეს პოულობდა და პოულობს დადასტურებას, კერძოდ, კანონპროექტების ჩამოყალიბების როს. აკი ჯერ კიდევ ცოტა ის წინ შეეცადნენ ჩვენთვის არი ეთქვათ მიწის საკუთრების ფლებაზე. მიწა — ეს არის არა რტო საკუთრების ობიექტი, არა რტო ჩვენი მარჩენალი, ეს ის რაღაც უზენაესი — სულიერი ღირებულებების სფერო. როდესაც კაცს მიწას ართმევ, მას სამშობლოს ართმევ.

ახლა მინდა სულიერი და ზნეობრივი საწყისების სფეროდან ტერიალურ სფეროზე გადავიდე და საკუთრების უმაღლესი ინციპებიდან გამომდინარე, უნა აღვნიშნო, რომ საჭიროა შემუშავდეს ბუნებათსარგებლობის თიანი საერთო-საკავშირო კონცეფცია. მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ ბუნებრივი რესურსების გამოყენების პოლიტიკა უნა ისახავდეს ბუნების დაცვის ნებს, იმ პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ადამიანი მაღალშეგნებული მარადიული მიწის მოიჯარეა ბუნების წინაშე.

ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება აქვს დამოუკიდებლად ახორციელებდეს სახელმწიფო ხელისუფლებას. მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე არ არის, ვინაიდან ავტონომია არსებული სახელმწიფო იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგომი აღმოჩნდა. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა ფედერაციის არსებობის პოზიციებს, ოღონდ ისეთი ფედერაციისას, რომელშიც არ იქნება არავითარი პოლიტიკური და ეკონომიკური დეფორმაცია. რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, მათს უფლებებს რეალური შინაარსი უნდა მიენიჭოს. ეს შეიძლება გახდეს ერთ-ერთი გარდამავალი ნაბიჯი ახალ მექანიზმზე, რომელსაც საბოლოო ანგარიშით შედეგად უნდა მოჰყვეს მრავალსაფეხურიანი პოლიტიკური იერარქიის გაქრობა.

ჩვენ გვინდა, რომ ქვეყნის ცენტრალური ხელმძღვანელობა გვიცნობდეს არა მარტო სიმღერებითა და ცეკვებით, არა მარტო იმით, რომ ჩვენს რეგიონებში ეროვნებათშორისი დაძაბულობის კერები ჩნდება, არამედ იმითაც, თუ როგორ ვვითარდებით ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. კონფლიქტი, რომელიც ჩვენს რეგიონში ეროვნებათშორის საფუძველზე წამოიჭრა და ადამიანთა ურთიერთობის ხასიათი შეიძინა, რომელმაც გააშიშვლა ეროვნული მგრძნობიარობის ნერვი, შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს მხოლოდ სრულფასოვანი ღონისძიებებით, რომლებიც გარანტიულად უზრუნველყოფენ ფედერაციის ფარგლებში სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმის თანასწორ უფლებებს, ქმნიან ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის რეალურ საფუძველს. 1990 წლის გაზაფხულზე კანონთა პაკეტში უნდა მივიღოთ კანონი მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიული მმართველობის ახალ მექანიზმზე გადასვლის ეტაპზე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს.

აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უზენაეს საბჭოსა და მთავრობას წარუდგინა კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის კანონთან დაკავშირებით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის არსია არა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ერთი ხერხის მეორით შეცვლა, არამედ ეკონომიკური მეთოდების მეშვეობით თვითმმართველობაზე გადასვლა. ახალი მექანიზმი ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების ორმხრივ ურთიერთობას არა მარტო სახალხო მეურნეობის პირველადს რგოლებთან, არამედ აგრეთვე ცენტრალურ მთავრობასთან, განსაკუთრებით, — დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში. უეჭველია, ეს არის არა სპონტანური პროცესი, არამედ პროცესი, რომელსაც ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები არეგულირებენ. აქ მთავარია ამ რეგულირების ფორმები და მეთოდები. სახელმწიფოსთან ურთიერთობა შეიძლება ხორციელდებოდეს ორი ძირითადი არხის მეშვეობით — სახელმწიფო გადასახადისა და პროდუქციის გამოშვებაზე სახელმწიფო შეკვეთის მეშვეობით. და იმაზე, თუ რაოდენ იქნება მოფიქრებული ამ ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი, დამოკიდებულია ხალხის ბედი და კეთილდღეობა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ცენტრისა და რესპუბლიკების ურთიერთობის ერთ დიდმნიშვნელოვან მომენტს. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ საბაზრო ეკონომიკის პრიორიტეტებზე, ერთი რამ ცხადია: გეგმიანობის როლი არ დაკნინდება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ხუთწლიანი გეგმების შესადგენად ცენტრალური ეკონომიკური უწყებების მიერ ამოსავალი მონაცემების განსაზღვრისას უნდა განისაზღვროს აგრეთვე მონაცემები ავტონომიური რესპუბლიკებისათვის ცალკე სტრიქონად — და სწორედ ცენტრიდან. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს. გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურ საკითხებზე ცენტრისა და ავტონომიური რესპუბლიკების თანამოქმედების სწორედ ასეთი მექანიზმი უნდა გვქონდეს.

როგორ მოხდება პრაქტიკულად ეს? ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებლად ამუშავებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან გეგმას, უსატყუისებს თავის ინტერესებს მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებს. ასეთი გეგმა მზა ბლოკად შედის მოკავშირე რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შემადგენლობაში. ცენტრალურმა ეკონომიკურმა უწყებებმა და სამინისტროებმა გეგმების შემუშავებისას უნდა განიხილონ არა მარტო მოკავშირე, არამედ აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების საკითხები მათი მთავრობების თანდასწრებით. ეს პრაქტიკულ საქმიანობაში აამაღლებს ავტონომიური რესპუბლიკების დონეს, რომლებსაც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოების სამართლებრივი საფუძველი აქვთ.

და კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ეკოლოგიური კრიზისის პირასაა შავი ზღვა, და თუ სასწრაფოდ არ ვიღონეთ რამე, ამას შეიძლება განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს. ამიტომ წინადადება შემომაქვს განვიხილოთ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში საკითხი, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რათა თავიდან ავიცილოთ ამ ბუნების მშვენების დაღუპვა, რომელიც არა მარტო მთელი ჩვენი ქვეყნის სარეკრეაციო ზონაა, არამედ აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც არის. ზემონათქვამის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, შავი ზღვის პრობლემის გლობალური ხასიათისა და უაღრესი მნიშვნელობის გამო, გთავაზობთ 1990 წლის დამლევს ან 1991 წლის დამდეგისათვის დავგეგმოთ ბიჭვინთაში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სიმპოზიუმის გამართვა, სადაც განვიხილავთ და შევიმუშავებთ შავი ზღვის დაცვის საკითხთა საერთაშორისო ღონისძიებების კომპლექსს. საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში აფხაზეთს უნდა დაუმკვიდრდეს საკავშირო ჯანმრთელობის კერისა და ვიწროსპეციალიზებული სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის რეგიონის როლი მისი უნიკალური ბუნებრივი თავისებურებების გამოყენებით, რომლებიც რეგიონს შესაძლებლობას აძლევენ იყოს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი რელიქტური ფლორის თავშესაფარი. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის განვითარება გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმთავრესი საკურორტო ცენტრის დაღუპვას. ჩვენს ქვეყანაში ძალზე ბევრი გადაუდებელი პრობლემა დაგროვდა, მაგრამ ეკოლოგიურ აღზრდას, ბუნების დაცვის საკითხებში ადამიანისა და საზოგადოების აზროვნების შეცვლას მთლიანად უაღრესად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამიტომ საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას უმაღლესი ეკოლოგიური სასწავლებელი, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაციის ამსახველი მონაცემების ბანკით — ლაბორატორიების, მონიტორინგის სადგურების ქსელით ქვეყნის ყველა რეგიონში.

ბუნების დაცვის და ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების სახელმწიფო სისტემის სრულყოფისათვის საჭიროა შეიქმნას ეკოლოგიის კომიტეტები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებში, მიზანშეწონილია, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ბუნების დაცვის სახელმწიფო ორგანოები უშუალოდ შედიოდნენ ერთიანი სახელმწიფოს ორგანოს — სსრ კავშირის ბუნების სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში, ხოლო ეს უკანასკნელი ექვემდებარებოდეს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

გარდაქმნის ბედი ჩვენს ხელშია

(დასასრული)

ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, სხდომა წყდება და დეპუტატები მიდიან, რათა უკანასკნელ გზაზე გააცილონ გარდაცვლილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, აკადემიკოსი **ა. დ. სახაროვი**.

საღამოს სხდომაზე ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის მორიგი საკითხის განხილვას. მოისმინეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის **რ. ნ. ნიშანოვის** მოხსენება „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტების პროექტების შესახებ და დეპუტატთა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები".

ამის შემდეგ ყრილობა კვლავ დაუბრუნდა სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) საარჩევნო სისტემის საკითხებზე ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტს. განხილვის დროს დეპუტატებისაგან შემოსული წინადადებანი და შენიშვნები შესვენების დროს განიხილა სარედაქციო კომისიამ.

კენჭისყრა მოეწყო კანონის პროექტის ცალკეული მუხლების გამო. შესწორებებისა და დამატებების ნაწილი მიიღეს. კენჭისყრა სხვა მუხლების გამო გაგრძელდება.

და კვლავ ყრილობაზე — უკვე მერამდენედ — აღიძრა საკითხი დეპუტატთა დისციპლინის შესახებ. პალატის თავმჯდომარის მოხსენებაში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ზოგიერთ წევრს საჭიროდ არ მიაჩნია არა მარტო რეგულარულად მონაწილეობდეს პარლამენტის სხდომებში, არამედ საზღვარგარეთადაც კი მიემგზავრება ისე, რომ არ აცნობებს ამას უზენაეს საბჭოს. არათავაზიანობა, უპატივცემლო დამოკიდებულება კოლეგებისა და ამომრჩევლებისადმი ზოგჯერ იმითაც ვლინდება, რომ დეპუტატები იგვიანებენ სხდომებზე, უდროოდ ტოვებენ დარბაზს.

და აი, თავმჯდომარე კითხულობს ერთ-ერთი დეპუტატის ბარათს, რომელიც ყრილობის პრეზიდიუმში შემოვიდა. მასში ნათქვამია: „იმის გამო, რომ ყრილობას ყოველდღიურად არ ესწრება ოთხასზე მეტი დეპუტატი, რომელთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, არ არის არასაპატიო მიზეზებით, გთხოვთ საჯაროდ განიხილოთ და კენჭი უყაროთ საკითხს, რომ შესაბამის კომისიას დაევალოს, გააანალიზოს დეპუტატების მიერ საპარლამენტო დისციპლინის დარღვევის მიზეზები. ჩემი აზრით, კომისიის დასკვნები სახელობითად უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, რათა ამომრჩევლებმა იცოდნენ, ვინ ართმევს მათ ხმის უფლებას ყრილობაზე".

დარბაზის რეაგირება ამ წინადადებაზე ის იყო, რომ გაისმა ტაში, რომელიც არცთუ ხშირად ისმის აქ.

ყრილობის მორიგი სხდომა გაიმართება 19 დეკემბერს.

(საქდესი).

იუბილე

მკვლევარის ღვაწლი

ერთ-ერთ სესიაზე ჯერ კიდევ ულიად ახალგაზრდა სარგის აიშვილის მიერ წაკითხული მოხენებით იმდენად დაინტერესდა ატონი გიორგი ლეონიძე, რომ ორე დღეს თავისთან დაიბარა საუბროდ და როდესაც გაიგო, მ სესიის დამთავრებისთანავე რგისი ალპინისტურ ლაშქრობა წასულიყო, გაოცებით თქვა: ალხნო, ეს რა ამერიკული ტი კციაო" და ამ თქმაში გამოიეთა დამწყები მკვლევარის ხაათის ძირითადი ნიშნები: ინტესთა მრავალფეროვნება, უშრეენერგია და სიმაღლეთა დაძვის დაუოკებელი ჟინი.

დღეს საყოველთაოდ აღიარეული მეცნიერი, სარგის ცაიშვი, სიყრმიდანვე ავლენდა მოქდების დიაპაზონის ნაირსახებას და ეს მასშტაბურობა სპეალობაშიც ნიშანდობლივი გადა. ძველი ქართული მწერლობი და რუსთველოლოგიის სფეოს მუშაკი ღრმად ჩაერთო როორც მეცხრამეტე, ისე მეოცე საკუნის ლიტერატურის კვლევის ობლემებში, როგორც ისტორიოგრაფიის, ისე ეთნოგრაფიის, როორც ტექსტოლოგიის, ისე ფოლლორისტიკის საკითხების ძიება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სარგის აიშვილის მთავარი საკვლევაძიო სფერო მაინც იყო და არის უსთველოლოგიური პრობლემაიკა. მისი საკანდიდატო შრომა იეძღვნა რუსთველოლოგიის ერთთ ურთულეს პრობლემას — ფხისტყაოსნის ვახტანგისეული დაქციის რაობას (შრომა გამოვეყნდა ბეჭდურად 1957 წელს — ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის" სახელწოდებით). ქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის თაობაზე სუფევდა ორი ერთიმეორის გამომრიცხველი შეხედულება; ერთნი ამტკიცებდნენ, თქოს ვახტანგმა უცვლელად მეორა მის დროს არსებული ული რედაქცია რუსთველის პოემისა. მეორენი კი ფიქრობდნენ, ომ ვახტანგმა კრიტიკულად გახილა და საკუთარი შეხედულებებისამებრ შეამოკლა ვეფხისტყაოსნის ვრცელი, ინტერპოლირებული ტექსტი. აღნიშნული საკითხის შესწავლა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტოლოგიისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, რადგან პოემის ვახტანგისეული რედაქციის რაობის გარკვევა ახლებურად სვამდა პოემის ტექსტის ისტორიის შესწავლის პრობლემას. სადავო საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკაკი შანიძემ, რომელიც, ახალი დაკვირვებებით ასაბუთებდა, რომ ვახტანგისეული გამოცემა არ იმეორებს რომელიმე ძველ ხელნაწერს (როგორც ეს მანამდე ეგონათ) და იგი გვიანდელი ხელნაწერების გამოყენებით შექმნილი კრიტიკული ტექსტია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩებოდა გასარკვევი რიგი ბუნდოვანი საკითხისა. მათ შორის აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის" ცნობილი დასურათებული ხელნაწერის S-5006-ის" რედაქციულობა და თარიღი. საერთო აზრით ეს ხელნაწერი XVII საუკუნისა უნდა ყოფილიყო, წინ უსწრებდა პოემის პირველნაბეჭდ გამოცემას და შეიცავდა ამ გამოცემის მსგავს რედაქციას. S-5006 ხელნაწერის დაწვრილებითი, სკრუპულოზური შესწავლის შედეგად სარგის ცაიშვილმა დაამტკიცა, რომ დასახელებული ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისაა და არა XVII საუკუნისა. რაც მთავარია, მკვლევარმა ცხადი გახადა, რომ ეს ხელნაწერი მნიშვნელოვანწილად თვითონ ვახტანგის ნაბეჭდი ტექსტიდან მომდინარეობს, რითაც მოიხსნა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც მხარს უჭერდა საწინააღმდეგო თვალსაზრისს. სარგის ცაიშვილმა საგრძნობლად განავითარა აკაკი შანიძის დებულება და უცილობლად ნათელყო „ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის გამოცემის რედაქციული ხასიათი, მანვე გამოიკვლია ვახტანგისეული გამოცემის ხელნაწერი წყაროები და დამარწმუნებლად გააანალიზა ვახტანგის რედაქციული მუშაობის თავისებურებანი.

სარგის ცაიშვილმა შემდეგ გააღრმავა „ვეფხისტყაოსნის" ჩვენს დრომდის მოღწეული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა და ხანგრძლივი შრომის შედეგად მოამზადა ფუნდამენტური მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია", რომელიც 1970 წელს ბეჭდურად გამოაქვეყნა ორ წიგნად. ამ მონოგრაფიამ, რომელიც ახალი სიტყვაა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტოლოგიაში, სარგის ცაიშვილს მოუპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ცაიშვილის მონოგრაფია, გარდა თავისი წმინდა მეცნიერულ-თეორიული მნიშვნელობისა, ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტების განვითარების ორიგინალური კონცეფციით და აქვს პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც. ავტორი გვთავაზობს საყურადღებო რეკომენდაციებს „ვეფხისტყაოსნის" მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის სახელმძღვანელოდ. ცაიშვილის დამოწმებულ მონოგრაფიას მიეძღვნა არაერთი ქართველი მეცნიერის წერილი და რეცენზია.

სარგის ცაიშვილს ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის" ისტორიულ-ლიტერატურულ, მსოფლმხედველობრივ და პოეტიკის საკითხებს. მასვე გამოქვეყნებული აქვს მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევები, მათ შორის უცხოურ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზეც.

გამოწვლილვით აქვს შესწავლილი მკვლევარს რუსთველის შთამაგონებელი შემოქმედება XVII-XIX საუკუნეებისა და საბჭოთა მწერლობაზე. განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ცაიშვილი შთამბეჭდავად აჩვენებს XVII საუკუნის დიდი ქართველი ეროვნული პოეტის დავით გურამიშვილის შემოქმედების მიმართებას რუსთაველისადმი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ს. ცაიშვილს საგულისხმო ღვაწლი აქვს გაწეული გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის ღირსეულად შეფასებისა და პუბლიკაციის საქმეში; მკვლევარმა მკაფიოდ გააანალიზა გურამიშვილის პოეზიის ალეგორიულ-სიმბოლური მხარეები, ქაფიოდ წარმოაჩინა მისი შემოქმედებითი კავშირი როგორც ძველ ქართულ საერო პოეზიასთან, ასევე (და განსაკუთრებით) ქართულ ჰიმნოგრაფიასთან. მისივე მომზადებულია „დავითიანის" 1980 წლის გამოცემა, რომელიც ტექსტოლოგიური ხასიათის გასწორების რამდენიმე სანიმუშო მაგალითს გვთავაზობს (გამოცემას ახლავს ს. ცაიშვილის შესავალი წერილი და სათანადო სამეცნიერო აპარატი). იმავე 1980 წელს ს. ცაიშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით გამოვიდა ლენინგრადში („პოეტის ბიბლიოთეკის" სერიით) „დავითიანის" ნ. ზაბოლოცკისეული თარგმანი. მანვე 1975 წელს რუსულად გამოსცა და შესავალი წერილი დაურთო სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს „სიბრძნე სიცრუისა" („ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა). სარგის ცაიშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით არის გამოცემული „ქართული პოეზიის" მრავალტომეულის პირველი ორი ტომი (თბილისი, 1974-1979 წწ.).

სხვადასხვა საყურადღებო კუთხით განიხილა ს. ცაიშვილმა XVII-XVIII საუკუნეების ისეთი ცნობილი ქართველი მწერლები, როგორებიც იყვნენ ფეშანგი (პოემა „შაჰნავაზიანის" ავტორი), იოსებ თბილელი (პოემა „დიდმოურავიანის" ავტორი), „რუსუდანიანის" უცნობი ავტორი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, საიათნოვა, ბესიკი და ა. შ.

აღსანიშნავია სარგის ცაიშვილის სპეციალური წერილები XIX საუკუნის კლასიკოსებზე — ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველაზე. 1982 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ს. ცაიშვილის დიდად საინტერესო წერილების სერია „ფილოლოგიური ეტიუდები". აქედან გვინდა გამოვყოთ ნარკვევი ილია ჭავჭავაძის განთქმულ პოემა „განდეგილზე". მკვლევარმა წარმოაჩინა ამ პოემის შექმნის პროცესის მანამდე უჩინარი მხარეები.

მაღალი პროფესიონალიზმითა და ნიჭიერებით არის აღბეჭდილი სარგის ცაიშვილის წერილები თანამედროვე გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერლებზე (გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, ლევან გოთუა, ნოდარ დუმბაძე, გიორგი შატბერაშვილი, არჩილ სულაკაური...). ს. ცაიშვილის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ წიგნს „მარადიული სახეები" (თბილისი, 1981, 20 თ.) ქვესათაურად აქვს „თანამედროვენი და წინამორბედნი". ამ წიგნებში ორგანულად არის ერთმანეთთან შერწყმული წარსული და აწმყო. იშვიათი გულისხმიერებით, საქმის ცოდნით, ლიტერატურული გემოვნებითა და საკითხის არსში ღრმად ჩაწვდომის უნარით წარმოდგენილია ქართული სულიერი კულტურის ძველი და ახალი დროის ღვაწლმოსილ მოღვაწეთა მრავალფეროვანი გალერეა.

სარგის ცაიშვილის გამოკვლევები, ნარკვევები, ესეები, რეცენზიები და სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურული ნაშრომები ძირითადად თავმოყრილია მის თორმეტ წიგნში, რომელიც გამოქვეყნებულია 1957-84 წლებში.

განსაკუთრებით ფასეულია უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული სარგის ცაიშვილის ნაშრომების სამტომეული, რომელშიც ახალ ნაშრომებთან ერთად გულმოდგინედ არის გადამუშავებული, შესწორებული, დახვეწილი და ნაწილობრივ შევსებული მისი ნარკვევები ძველი, ახალი (XIX საუკუნის) და თანამედროვე ქართული მწერლობის საკითხებზე.

1985 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე სარგის ცაიშვილის მონოგრაფია „დავით გურამიშვილი", რომელშიც შეჯამებულია ავტორის მრავალწლიანი შრომა დავით გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედებაზე, რომელშიც, როგორც ითქვა, პოეტის სულიერი ბიოგრაფია მრავალი ახალი ასპექტით არის წარმოდგენილი.

სარგის ცაიშვილმა 1987 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნარკვევებისა და წერილების კრებული „წინაპრებიდან თანამედროვეებამდე" ქვესათაურით „ფიქრები ქართულ ლიტერატურაზე", რომელშიც შევიდა ავტორის რჩეული წერილები და ნარკვევები. კრებულში შეტანილ წერილთაგან აღსანიშნავია ავტორის ვრცელი ნაშრომი ქართული პოეზიის განვითარების გზებზე, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში" 1986 წელს (№ 5), ხოლო მანამდე გამოქვეყნდა პოლონურ ენაზე ჟურნალში „პოეზია" (1985, № 9). კრებულში შევიდა აგრეთვე სარგის ცაიშვილის ზემოთაღნიშნული ნაშრომის „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის" მოკლე, გადამუშავებული რუსული ვარიანტიც.

ინტენსიურ მუშაობას ეწევა სარგის ცაიშვილი ქართული კლასიკური მემკვიდრეობის გამოცემის საქმეშიც, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ უკანასკნელ წლებში გაწეულ ღვაწლს. 1983 წელს მისი რედაქციით გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" პეტრენკოსეული თარგმანი, რომელსაც ერთვის შესავალი წერილი, რომელიც დაწერილია დიდი საფუძვლიანობით. კერძოდ, კარგად არის ნაჩვენები რუსთაველის მხატვრული აზროვნების სპეციფიკური მხარეები. 1987 წელს გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტს კი ერთვის ასევე მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული წერილი და ლექსიკონი (გამომცემ. „მერანი").

სარგის ცაიშვილი ერთ-ერთი რედაქტორია ილია ჭავჭავაძის რჩეულ თხზულებათა ახალი გამოცემისა ხუთ ტომად, რომელსაც ერთვის მისივე შესავალი წერილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ასევე ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში მოსკოვსა და თბილისში გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თხზულებები, რომლებსაც ერთვის ს. ცაიშვილის შესავალი წერილები.

ს. ცაიშვილმა (გ. გვერდწითელთან ერთად) გამოსცა აგრეთვე საინტერესო მოგონებათა კრებულები ილია ჭავჭავაძეზე („ილია") და ვაჟა-ფშაველაზე („კაი ყმა"), რომლებსაც ერთვის მისივე ნარკვევები, რითაც დაედო სათავე მოგონებათა ახალი სერიის გამოცემას ქართველ კლასიკოსებზე.

1967 წლიდან სარგის ცაიშვილი უნარიანად უძღვება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებას, არის ამავე ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერ-ხელმძღვანელი და ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქტორის მოადგილე, 1984 წლიდან იყო შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1988 წლიდან არის ამავე ინსტიტუტის დირექტორი. შეთავსებით იგი ხელმძღვანელობს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

სარგის ცაიშვილი ენერგიულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაამახვილა ყურადღება თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეკოლოგიისა და დემოგრაფიის საკითხებზე. იგი აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პოლიტიკური და ეროვნული ცხოვრების პრობლემებში.

სარგის ცაიშვილი რამდენიმე, მათ შორის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ორი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრია, არის ჟურნალ „მაცნესა" და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი აქტიურ მუშაობას ეწევა მწერალთა კავშირში, არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. 1977 წელს მას მიენიჭა მწერალთა კავშირის პრემია საუკეთესო წერილების კრებულისათვის, ხოლო 1989 წელს კ. კეკელიძის სახელობის პრემია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სარგის ცაიშვილი ლიტერატურათმცოდნეობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის 1983 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

„ესე მცირედი მრავალთაგან დიდთა საქმეთა დავწერეთ მიმყოლებისათვის ჟამისა" და ვუსურვებთ ბატონ სარგისს დიდ წარმატებებს.

ალექსანდრე ბარამიძე,
რევაზ ბარამიძე,
რევაზ სირაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

დღევანდელი ნომრის სტუმარი

გულს მიყურადებული



აყურადებს მტკივან გულს პროფესორი ნოდარ ყიფშიძე, ამოწმებს მის რიტმსა და ფეთქვას მკურნალი, უნდა, როგორმე, გადაარჩინოს ავადმყოფი, ანუ სიცოცხლე გამოსტაცოს სიკვდილს.

აყურადებს მტკივან გულს..

• • •

იმ დღეს პირველად შევხვდი ნოდარ ყიფშიძეს, აქამდე, წესიერად ნანახიც არ მყავდა. ვიცოდი: იგია მსოფლიო სახელის მქონე მედიკოსი, „გულის სპეციალისტი" — უებრო, თბილისში ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი, გულის მკურნალობის მრავალი მეთოდის ავტორი და ა. შ და ა. შ.

ერთი სიტყვით, იმ დღეს პირველად შევხვდი, და, ჩემდა საბედნიეროდ, არა იმიტომ, რომ გულმა შემაწუხა (ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ ვუჩივი), უბრალოდ, მინდოდა გავსაუბრებოდი პიროვნებას, რომელსაც ქვეყანა ლოცავს, უამრავი „საიქიოდან მობრუნებული" მადლობის ბარათებს უგზავნის და ალმერთებს. მიზეზიც მქონდა: ახლახან ხომ ნოდარ ყიფშიძეს, თავის კოლეგებთან ერთად, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ჰოდა, მივულოცე, ოღონდ მანამდე მის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ირაკლი ჭუმბურიძეს გავესაუბრე.

მოადგილე აქებს დირექტორს

გულწრფელად აქებს, იცის — კეისარს კეისრისა უნდა მიეზღოს, ირაკლი ჭუმბურიძისათვის უცხოა პირფერობა, ან კი რაში სჭირდება — შესანიშნავ მკურნალსა და საზოგადო მოღვაწეს რეგალიები არ აკლია, თანაც, როგორც იტყვიან, „თავისი კალო გალეწილი აქვს".

იგი მიამბობს:

— ბატონმა ნოდარმა 1960 წელს დააარსა თბილისში ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც თანდათან გაიზარდა და მალე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გახდა. დღეს ჩვენი ინსტიტუტი, ერთ-ერთ მოწინავე სამეცნიერო ცენტრად ითვლება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირში, მას ფართო კონტაქტები აქვს დამყარებული უცხოეთის ბევრი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან. ეს კი, დამეთანხმებით, ინსტიტუტის დირექტორის — ნოდარ ყიფშიძის დიდი ავტორიტეტითაც არის განპირობებული. ბატონი ნოდარის ხელმძღვანელობით ბევრმა ახალგაზრდა სპეციალისტმა დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია... იგი მიზანსწრაფული პიროვნებაა, აქვს სამეცნიერო მუშაობის დიდი ორგანიზაციული ნიჭი..., რა თქმა უნდა, მთელ ჩვენს კოლექტივს ეამაყება, რომ ნოდარ ყიფშიძის ღვაწლი აგრერიგად არის დაფასებული. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, არჩეულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად... აი, ახლახან, სახელმწიფო პრემიაც მიიღო... რაც მთავარია, ბატონი ნოდარი ქართველი საზოგადოებრიობის ჭეშმარიტი სიყვარულით სარგებლობს — ამას კი, დამეთანხმებით, ვერავითარი ჯილდო ვერ შეედრება... შეიძლება, იცით კიდეც: ნოდარი ცნობილი მკურნალისა და მეცნიერის ნიკოლოზ ყიფშიძის ვაჟია, ნოდარის ძმა — გურამიც ექიმია — ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის განყოფილების გამგეა... ნოდარის ვაჟიშვილი კი გულ-სისხლძარღვთა ქირურგიაში მუშაობს და ახლახან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია... ასე რომ, ხომ ხედავთ — მთელი დინასტიაა.

• • •

კარგი ნაცნობივით შემხვდა, გულღიად მესაუბრა და, რედაქციაში ამ საუბრის ჩანაწერი რომ ჩავათვალიერე, ალმოჩნდა, ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია ნოდარ ყიფშიძეს თავისი პერსონის წარმოსაჩენად.

ერთგან მეუბნება: „მამა გორის რაიონიდან — შინდისიდან იყო, მე თბილისში დავამთავრე სკოლა, სამედიცინო ინსტიტუტი, ვმუშაობდი მოსკოვში, აკადემიკოს ალექსანდრე მიასნიკოვთან, სამი წლით მიმავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორ წელიწადს — შვეიცარიაში... ეს წლები დიდად ნაყოფიერი იყო ცოდნის გასაღრმავებლად, კარდიოლოგიის ახალ მიღწევათა დასაუფლებლად...

აი, პირველი კითხვა ასეთი მიმიცია პროფესორისათვის:

— იქნებ, გვიამბოთ მეთოდზე, რომელიც თქვენ დანერგეთ გულის მკურნალობაში და, რომლისთვისაც, ახლახან, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მოგენიჭათ?

— მარტო მე — არა, ჯგუფს მიენიჭა, ესენი არიან ჩვენი ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილების გამგე, პროფესორი გულნარა ჩაფიძე, განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები — ლუიზა მარსაგიშვილი და მერაბ ბოხუა... შესანიშნავი სპეციალისტები... რაც შეეხება მეთოდს, იგი უკვე ბევრგან დანერგეს, ჩვენი ქვეყნის გარდა, უცხოეთშიც იყენებენ და ძალზე ეფექტიანადაც. მაინც რა მეთოდია ასეთი? მწვავე იშემიის დროს გულში დავიწყეთ ლაზერის შეყვანა და დასხივება. სეანსი რამდენჯერმე მეორდება (დღეში ერთი სეანსია), რის შემდეგაც ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება, ტკივილები ალარ აქვს და გულის მუშაობაც რიტმულია, დამაკმაყოფილებელია აღდგენითი პროცესები... წარმოიდგინეთ, სამჯერ შემცირდა სიკვდილიანობა... მეთოდი ერთ ავადმყოფზე გამოვცადეთ, რომელმაც სამი დღის განმავლობაში 57 კლინიკური სიკვდილი გამოიარა... რომ იტყვიან, გადადებული იყო... პატრონმა მოგვცა უფლება და ჩავატარეთ ექსპერიმენტი... საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ის კაცი დღესაც ფეხზეა და თავს მშვენივრად გრძნობს... 1986 წელს ჩვენი ეს მიღწევა მოვახსენე ამერიკაში კარდიოლოგთა მსოფლიო კონგრესს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია... დღესდღეობით, როგორც აღვნიშნე, ამ მეთოდს ბევრგან იყენებენ...

• • •

მიღწევა მიღწევად, პრემია პრემიად, მაგრამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ფიქრობს, მკურნალობის ახალი მეთოდი ვალუტის წყაროდ გადააქციოს, ამით ინსტიტუტსაც არგოს — უცხოური აპარატურა შეიძინოს და რესპუბლიკის შემოსავალშიც თავისი მცირე წვლილი შეიტანოს. — ეს კი შესაძლებელია — ამბობს ნოდარ ყიფშიძე, — საერთაშორისო ფასიანი კურსების გახსნით. ჩვენთან ჩამოვლენ კარდიოლოგები ამერიკიდან, იაპონიიდან, დასავლეთ გერმანიიდან, არაბეთის ქვეყნებიდან... კურსები ათდღიანი იქნება. საჭიროა უცხოელებს მაღალ დონეზე დავხვდეთ, ამიტომ ძველ თბილისში, სადმე, იქნებ სასტუმრო გაგვიხერხოს მთავრობამ... სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, მალე ავადმყოფებიც მივიღოთ უცხოეთიდან, — იმედოვნებს ინსტიტუტის დირექტორი.

— ბატონო ნოდარ, გასაგებია, რომ ჩვენმა ნერვულმა დრომ ინფარქტებიც გაახშირა, რამდენადაც ვიცი, საქართველო ამ მხრივ „მოწინავეთა რიგებშია", რით ხსნით ამას?

— ქართული სუფრით, გადამეტებული პურ-მარილით... საღამოთი, მთელი სხეული, გულსისხლძარღვები უნდა ისვენებდეს და ჩვენ მაშინ ვიწყებთ მამა-პაპურ დანაყრებას, ცხიმიანი საჭმელების მიღებას... ეს კი აჩქარებს ათეროსკლეროზს, ავიწროვებს სისხლ-ძარღვებს და ა. შ. ამერიკაში, ბოლო დროს, დიდ პროპაგანდას უწევენ იმას, რომ გადავიდნენ მცენარეულ ზეთებზე, ფიზიკურად აქტიურები იყვნენ. ამან საგრძნობლად შეამცირა ინფარქტი და სტენოკარდია... ჩვენმა პრესამ, ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სიგარეტის, უზომო კვების უარყოფის პროპაგანდას, ეეეჰ.. გულის უპირველესი წამალი მაინც სიყვარული და მოფერებაა, ჩემო მეგობარო... მოყვარე რომ ეგონა ქართველ კაცს და ჩახუტებული ჰყავდა საუკუნეების განმავლობაში, თურმე მტერი და მოსისხლე ყოფილა და, აბა, რა გული და ნერვები უნდა გვქონდეს, მაგრამ რას იზამ, ესეც გამოცდაა, უნდა გავუძლოთ...

— რაზე ოცნებობთ?

— რაზეც ლელთ ღუნია ოცნებობდა. მე თუ არა, ჩემი შვილები და შვილიშვილები მაინც მოესწრონ სანუკვარი მიზნის ასრულებას... ძალიან მინდა, აგრეთვე, მოვესწრო საქართველოში გულის გადანერგვას... აი, მიღწევა ეს იქნება, თუმცა ჯერჯერობით, გულის ქირურგია არ დგას ჩვენთან იმ დონეზე... არადა, რამდენი კარგი სპეციალისტი მუშაობს მოსკოვში და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში... ახლა მაინც წამოვიდნენ აქეთ, საქართველოს, მის მომავალს მოახმარონ, რაც შეუძლიათ... პირობები, ალბათ, უარესი ექნებათ, მაგრამ ეროვნული მედიცინის წინსვლისათვის, დროებით, ეგეც მოვითმინოთ!...

• • •

აყურადებს მტკივან გულს პროფესორი, ამოწმებს მის რიტმსა და ფეთქვას... კიდევ ერთი სიცოცხლე უნდა გამოსტაცოს სიკვდილს...

ხელი მოემართოს!..

ვილენ მარდალეიშვილი.

წერილი „კომუნისტს"

რა დაგვემართა?!

იმ სახელმწიფოში, სადაც ადამიანი, როგორც ბუნების განუმეორებელი ფენომენი გათანაბრებული იყო უსულო საგანთან, ყველაფერია შესაძლებელი. ალბათ, ამიტომაც ალარ იწვევს საყოველთაო ღელვასა და აღშფოთებას მართლაც და სენსაციური დრამა, რომლის მოწმენი დღეს ყველანი ვართ. მოკლულთა დედები, დები, მეუღლეები, შვილები შეყუჟულნი თბილისის სურათების სახელმწიფო გალერეის შესასვლელში უკვე მერამდენე კვირაა მკვლელთა მიმართ სასამართლოების მათი თვალსაზრისით არასამართლიანი განაჩენის პროტესტის ნიშნად შიმშილობენ... არადა, რას ითხოვენ გამწარებული ჭირისუფალნი — გადაისინჯოს განაჩენი, გადაისინჯოს ადვოკატებისა და ნდობით აღჭურვილი პირის უშუალო მონაწილეობით... ეს არის და ეს!

თქვენ, პატივცემულო მკითხველო და თქვენც, სამართალდაცვის თავკაცებო, აბა, წარმოუდგენელი წარმოიდგინეთ — ასე გულისფანცქალით შვილი გაუზარდო ქვეყანას და ვიღაც გარეწარმა მოგიკლას, ხოლო მერე სასამართლომ ისეთი განაჩენი გამოიტანოს, რომ მკვლელი სიხარულისაგან ცას ეწიოს: მეტიც, ვიცი შემთხვევა, როცა მკვლელის გავლენიანმა მშობელმა შვილი ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან იხსნა და მერე ტელევიზიის ეკრანიდან ზნეობასა და პატიოსნებაზე საუბარი გაგვიმართა... ბრალი ამის შემყურე ჭირისუფალს, ბრალი ჩვენ, ამას რომ ვითმენთ...

მოშიმშილეთა შორის, ალბათ, იქნებიან ისეთნიც, რომელთა პროტესტი მართლაც უსაფუძვლოა, მაგრამ ის გუნებაგანწყობილება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას საერთოდ სასამართლოს მიმართ აქვს, სამწუხაროდ, ბადებს კანონის ზოგიერთი დამცველისადმი არც თუ უსაფუძვ- [illegible] ისე რომ, შე- უნდოთ უკიდეგანო დარდის ზღვა- [illegible] ჩვენგა [illegible] მოითხოვენ.

მართლისადმი ერთგულება, სხვისი დარდის გულთან მიტან მარადჟამს იყო ჩვენი ერის ყველაზე დამახასიათებელი ნიშან მაშ, დღეს რაღა დაგვემართა?

სანდრო მამასახლისი,
შოთა ბადრიძე,
გიორგი ჯაფარიძე,
ვახტანგ გოგუაძე.



სანდრო მამასახლისის ფოტ

დანაშაულის კვალდაკვალ

საწამლავი... ბითუმად

კარგა ხანია საზოგადოებრიობა ასე არ აუღელვებია ბოროტგანმზრახველთა შეპყრობის ცნობას, რა არაკაცების ამბავი არ შეგვიტყვია, ნარკოტიკების გამყიდველებისა თუ ბავშვთა გამტაცებლებისა... მაგრამ ეს, სწორედ რომ, მოულოდნელი და გამაოგნებელი აღმოჩნდა. ამჯერად ბიზნესის საგანი იყო... ქიმიური მომწამვლელი ნივთიერება „სი-ესი". დიახ, სწორედ ის „სი-ესი", რომლის სახელიც ისე ავბედითად გახმიანდა 9 აპრილს და რომლის შედეგებიც ისევ ახსენებს თავს იმ ტრაგედიის მსხვერპლთ.

...თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანყოფილების უფროსთან, მილიციის მაიორ ალექსანდრე მიქაბერიძესთან აღელვებული ახალგაზრდა შევიდა (თბილისელი იეზიდი თამაზ შამედოვი ოცდაათი წლის კაცია);

— მისმინე, უფროსო! ნუცუბიძის პლატოზე, სასტუმრო „აკადემიურში", ნაცნობთან შევიარე. ორი ბალტიისპირელი გამომელაპარაკა, „ბარახლო" გვაქვს, ხომ არ გინდაო. შევყევი. უცებ გაზის ბალონები არ შემომთავაზეს! მომწამვლელი გაზი „სი-ესი", 9 აპრილს თბილისში რომ სამხედროებმა ხალხი დაწამლეს, ის! თითოს 400 მანეთად ყიდიან. თუ ბითუმად წაიღებ, 350 მანეთად მოგცემთო. მართალი გითხრა, ეგ გაზი რომ არა, ალბათ, არ მოვიდოდი, მაგრამ ჩემი თბილისის მომწამლავი თბილისში გაყიდონ, კაცო?! ჰო, იარაღიც აქვთ!..

სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი. მილიციის კაპიტნებმა გივი მინაძემ, ბადრი მალლათაძემ, უფროსმა ლეიტენანტებმა სოსო ებრალიძემ, გია მაისურაძემ და გულადი სალინაძემ ისე სწრაფად, მაღალპროფესიულად ჩაატარეს „ბალტიისპირელი სტუმრების" დაკავების ოპერაცია, რომ მათ, როგორც იტყვიან, თითის განძრევაც ვერ მოასწრეს. გასასაღებლად ჩამოტანილმა „საქონელმა" თვით მრავლისმნახველი მილიციის მუშაკებიც კი განაცვიფრა: 62 ცალი დასავლეთგერმანული „სი-ეს" გაზის ბალონი, უცხოური წარმოების ნაგანის სისტემის რევოლვერი თავისივე ვაზნებით, კარატეს საბრძოლო გადაბმული ჯოხები — ნუნჩაკო...

ესენი არიან ლიტვის სსრ ქალაქ უკმერგეს მცხოვრებნი აივარას მიქშტასი და ალექსანდრე კომაროვი. ა. მიქშტასი 1967 წელს არის დაბადებული, მძღოლ-ექსპედიტორად მუშაობს კვებვაჭრობის სისტემაში. 29 წლის ა. კომაროვი ცოლშვილიანია. კოოპერატივ „მოლოდიოჟნი ცენტრში" ამწყობად მუშაობს.

სად იშოვეს „სი-ესის" ამდენი ბალონი, რატომ მაინცდამაინც თბილისი აირჩიეს მის სარეალიზაციოდ? ეს შეკითხვები დღეს ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველი მსჯელობის საგანია. ხალხი შეშფოთებულია, და დასამალი როდია, რომ ამ შეშფოთებას აქვს კიდეც საფუძველი: სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა განხილვის მოახლოებასთან დაკავშირებით საკავშირო პრესაში მომრავლდა მასალები, რომლებშიც აშკარად ჩანს უკვე დადგენილი ფაქტების იგნორირების, მცდარი დასკვნების გამოტანის ცდები. ხალხი არ მალავს: ამ საშინელი „საქონლის" მაინცდამაინც ყრილობის დღეებში თბილისში სტუმრობა რაიმეთი დაკავშირებული ხომ არ არის ამ საშიშ ტენდენციასთან?

ყოველივე ამაზე პასუხს ძიება გასცემს (საქმეს იძიებს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი ომარ ბარჯაძე) და საზოგადოებრიობა ბოლოს და ბოლოს ყველაფერს შეიტყობს, მაგრამ ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, თუ რა სიფხიზლეა საჭირო. და აქ არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით კიდევ ერთხელ არ მოვიხსენიოთ ჭაბუკი იეზიდი მუშა თამაზ შამედოვი, რომლის მოქალაქეობრივმა და პატრიოტულმა (სწორედ რომ პატრიოტულმა!) შემართებამ იქნებ ისეთ შედეგებს გადაგვარჩინა, რომლის მთელი სიგრძე-სიგანით წარმოდგენა ამ ეტაპზე ჯერ კიდევ შეუძლებელია.

ალეკო ასლანიშვილი.

მილიციის სადაგი დღეები

გატაცებული ბავშვი მშობლებს დაუბრუნდა

ბოროტი დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა

მარნეულის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ორი აღელვებული მანდილოსანი შეიჭრა: არიქა, უშველეთ, ლენინის ქუჩაზე, სარაიონთაშორისო საავადმყოფოსთან ახლოს, შავნიღბიანმა მამაკაცებმა დაახლოებით 17 საათსა და 25 წუთზე მსუბუქი ავტომანქანით 8-10 წლის ბავშვი გაიტაცესო.

დახანება შეუძლებელი იყო. ყრმის მოსაძებნად ფეხზე დადგა განყოფილების მეთაურთა და რიგითი შემადგენლობა, განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ ფარნაოზ სვანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი... უწინარეს ყოვლისა ქალაქიდან გასასვლელები გადავკეტეთ, მოგვითხრობს ფარნაოზ სვანიძე, ვაკავებდით ყველა მსუბუქ მანქანას, რომლის წინა სახელმწიფო ნომერი იყო 82, რომელიც იმ ქალბატონებს ახსოვდათ. დადგინდა გატაცებული ბავშვის ვინაობაც. იგი აღმოჩნდა მე-6 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე კონსტანტინე დამოციევი. ბიჭი გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლიდან შინ ბრუნდებოდა.

მარნეულიდან გამავალ რკინიგზის გადასასვლელზე რაიონის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსმა ამირან შუბითიძემ, ავტოინსპექტორებმა ხაზეინ მეხტიევმა და ჰამლეტ ბუღაღოვმა გააჩერეს „ჟიგული" ვ 82-60 გგ., იგი ეკუთვნის მარნეულში ჯავახიშვილის ქუჩის № 4-ში მცხოვრებ იური არუთინიანს. ჯერ იხტიბარს არ იტეხდა, რა დავაშავე, რისთვის გამაჩერეთ, დაღლილი ვარ, სახლში გამიშვითო, მაგრამ მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს და ყველაფერი „დაფქვა". გამომჟღავნდა ბოროტ დამნაშავეთა ჯგუფი.

იური არუთინიანი, მისი ძმა სერგო არუთინიანი და მათივე მეზობელი სერგო ურუმოვი წინა კვირას ნათესავის ქორწილში შეხვდნენ ერთმანეთს. სერგო არუთინიანმა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ქვის საამქროში მუშაობს (ასეთი საამქროები სოკოებივითაა ქ. მარნეულსა და მის რაიონში) წამოაყენა წინადადება.

— ჩვენი საამქროს უფროსი კონსტანტინე დამოციევი ფულიანი კაცია. მას პატარა ბიჭი ჰყავს, მესამე კლასის მოსწავლე; სკოლიდან დაახლოებით 5-6 საათზე ბრუნდება, გავიტაცოთ, მერე მშობლებს გამოსასყიდი მოვატანინოთო. უფროსმა ძმამ და ძმაკაცმაც ეს აზრი მოიწონეს, ახლა ისიც დადგენილია სად შეიძინეს ნიღბები და როგორ მოემზადნენ საბანდიტოდ. გატაცებული ბავშვი სოფელ ოფრეთში მიიყვანეს სერგო ურუმოვის მამისეულ სახლში, რომელშიც ზამთრობით არავინ ცხოვრობს. იქ ბავშვი ცივ სარდაფში მოათავსეს, რომ არ გათოშილიყო, თივა დაუფინეს, ზევიდან კი ძონძები დააფარეს. დარაჯად სერგო არუთინიანი მიუჩინეს. ბავშვის მშობლებს კი ტელეფონით „ულტიმატუმი" წაუყენეს: — თუ გინდათ ბავშვი ცოცხალი იხილოთ, არც მეტი არც ნაკლები, 50 ათასი მანეთი მოიტანეთ. ადგილიც დაუნიშნეს — ფული იქ ორმოში ჩადეთო.

ჩეკისტები სწორედ მაშინ მივიდნენ იმ ადგილას, როცა ეს ოპერაცია ხორციელდებოდა. სამივე დამნაშავე დაპატიმრებულია, მათ აღიარეს დანაშაული. მილიციის მუშაკებმა პატარა კოტე მშობლებს შვიდი საათის შემდეგ დაუბრუნეს.

იური არუთინიანი სამ ათეულ წელს მიტანებული კაცია. ჰყავს ოჯახი, აქვს უმაღლესი განათლება, დანაშაულის ჩადენამდე მუშაობდა მარნეულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში. სერგო არუთინიანი ძმაზე შვიდი წლით უმცროსია. 21 წლის სერგო ურუმოვმა საშუალო კი დაამთავრა, მაგრამ შრომა დიდად არ იზიდავს. საქმეს მილიციის საგამომძიებლო განყოფილება (უფროსი ჯუნგლი გოდერიძე) იკვლევს.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. დევისის თასის გათამაშებაში, ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელებმა. მათ ფინალში ანგარიშით 3:2 დაამარცხეს შვ ციის გუნდი.. გერმანელთა ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლი ლი შეიტანა სახელგანთქმულ ბორის ბეკერმა, რომელმაც ერთ ულთა თანრიგში ორივე შეხვედრა მოიგო, მესამე ქულა კი ერი იელენთან ერთად აიღო.

მხატვრული ტანვარჯიში. ტალინში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი „ზღვის ქალიშვილი-89". პირად ტურნირში გამარჯვება და პირველი პრიზი [illegible]სახურა თბილისელმა ელისო ბე ოშვილმა — 36,85 ქულა. მეორე-მესამე ადგილზე გავიდნენ ტალინელი მარი სიმი და შვედი სოფ ჰადმანი — 36,25.

ფეხბურთი. მოქმედი დებულების თანახმად, 1990 წლის საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი იასპარეზებს. დებულება მიიღო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ და საკავშირო სპორტსახკომის კოლეგი ამ დაადასტურა მისი შეუვალობა. სპორტსახკომის ჩარევა აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ ამას წინათ ფეხბურთის ლიგათა კავშირმა თავისი „ფორმულა" შემოიღო. ამასთან ერთად, სპორტსახკომის კოლეგიამ განიხილა ფეხბურთის ფედერაციისა და ლიგათა კავშირის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. ლიგათა კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს წინადადება მიეცა გადამუშაოს თავისი წესდება და არსებული წესების თანახმად, გაატაროს რეგისტრაციაში. იანვარში გაიმართება ფეხბურთის საკავშირო კონფერენცია, რომელმაც უნდა მიიღოს ფედერაციის ახალი წესდება, განსაზღვროს ლიგათა კავშირის ადგილი ფეხბურთის მმართველობაში.

კალათბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები: კიევის „ბუდეველნიკი" — კაუნასის „ჟალგირისი" — 96:8 (47:42), ტალინის „კალევი" — ლენინგრადის „სპარტაკი" — 80:73 (36:39), ვილნიუსის „სტ ტიბა"—ცსკა — 67:92 (31:46).

კრივი. პირველ ქვესაშუალო წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა მე ქსიკელმა ხულიო სესარ ჩავესმა. მან ფინალში დაამარცხა არგენტინელი ალბერტო კორტესი. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ რინგზე ჩავესმა 68 ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო, მათ შორის 59 — ნოკაუტით.

ლატარიის ოფიციალური ცხრილის გასწორება

სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობა იუწყება, რომ ლატარიის ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში, რომელიც 19 დეკემბერს დაიბეჭდა, დაშვებულია შეცდომა, კერძოდ: სერია 051052, ნომერი 229, მოგება 90 მანეთი, **უნდა იყოს:** სერია 051032, ნომერი 229, მოგება 90 მანეთი; სერია 05103 ნომერი 007, მოგება 30 მანეთი, **უნდა იყოს** სერია 051052, ნომერი 007, მოგება 30 მანეთი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი

უცხოეთში

საქდესი იუწყება
19 დეკემბერი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

წარადგინეს ოფიციალური მონაცემები

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ოფიციალურად წარუდგინა მონაცემები საზღვარგარეთ თავისი სამხედრო ყოფნის შესახებ. გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის სახელზე წარდგენილ წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მყოფი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რიცხვი შეადგენს 627.500 კაცს.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სპეციალურ სესიაზე, რომელიც განიარაღებას მიეძღვნა, საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება, რომ ამ ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა გენერალურ მდივანს გადასცენ მონაცემები საზღვარგარეთ თავიანთი სამხედრო ყოფნის და მათს ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ყოფნის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ნათქვამია დოკუმენტში, რომ ასეთი მონაცემების წარდგენა ხელს შეუწყობს სამხედრო სფეროში გულახდილობის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ნდობის განმტკიცებას, აგრეთვე სამხედრო პოტენციალის შესახებ იმ ობიექტური ინფორმაციის გაფართოებას, რომელიც ხელთა აქვს საერთაშორისო გაერთიანებას.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **ტოკიო.** ტოკიოში გაიხსნა სსრ კავშირისა და იაპონიის სამშვიდობო ხელშეკრულების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ორდღიანი სხდომა. ეს სამშვიდობო ხელშეკრულების სამუშაო ჯგუფის უკვე მეოთხე სხდომაა, რომლის შექმნის შესახებ მორიგება მიღწეულ იქნა 1988 წლის დეკემბერში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის იაპონიაში ვიზიტის დროს.

◎ **ბუდაპეშტი.** დამთავრდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მე-14 ყრილობის პირველი ეტაპი. ყრილობის დელეგატებმა განიხილეს და მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წესდება, აგრეთვე აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა, ცენტრალური კომიტეტი, სამდივნო, პარტიის ხელმძღვანელის მოადგილეები. პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია დიულა ტიურმერი.

◎ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის საზღვრის გასწვრივ დაიწყო სასანგრე-ტექნიკური ღობურის ლიკვიდაცია. ამ აქტს ორივე ქვეყანა განიხილავს როგორც მათ შორის ნდობის გამოვლინებასა და წვლილს „საერთო ევროპული სახლის" მშენებლობაში.

● პოლონეთი

მორიგი ანტისაბჭოთა პროვოკაცია

ვარშავა. ექსტრემისტთა და ხულიგანთა ანტისაბჭოთა გამოხდომები ბოლო თვეებში პოლონეთის პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ელემენტად იქცა. კვირა ისე არ გავა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ გამოაქვეყნონ ცნობები ანტისაბჭოთა ლოზუნგებით გამართული დემონსტრაციების შესახებ, მათ შორის სსრ კავშირის საკონსულო და დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წინ, პოლონეთის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავების, ძეგლების შებილწვის შესახებ. პროვოკაციული გამოხდომების ორგანიზატორები, ჩვეულებრივ, საბაბად იყენებენ ხოლმე რომელიმე ისტორიულ თარიღს, წლისთავებს, რომლებსაც თავისებურად განმარტავენ.

მაგალითად, ბოლო ანტისაბჭოთა აქციის საბაბად გამოიყენეს 1981 წლის 13 დეკემბერს პოლონეთში სამხედრო წესების შემოღების მე-8 წლისთავი. „სოლიდარობის" ორგანომ „გაზეტა ვიბორჩამ" დაბეჭდა ცნობა, რომ 16 დეკემბერს კატოვიცეში რამდენიმე ათეულმა კაცმა სალებავიანი ქილები და ბენზინიანი ბოთლები ესროლა საბჭოთა არმიის სამადლობელ ძეგლს თავისუფლების მოედანზე. წუთის განმავლობაში მონუმენტი ცეცხლის ალში გაეხვია.

● აშშ

მზადდება თავდასხმა?

ნიუ-იორკი. კოლუმბიის „კოკაინის კარტელები" ცდილობენ მოაწყონ თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე, როგორც, ავტორიტეტული ამერიკული ყოველკვირეული „ნიუსუიკი" იუწყება, ვაშინგტონში დადის ხმები, რომ თითქოს ნარკობიზნესი 30 მილიონ დოლარს სთავაზობდეს ადმინისტრაციის მეთაურის მოკვლისათვის.

თავისი ცნობის დასტურად ჟურნალი იმოწმებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანონიმურ თანამშრომელს, რომელმაც თქვა, რომ სადაზვერვო მონაცემებით, კოლუმბიის ნარკოსინდიკატები ცდილობდნენ ჯ. ბუშზე თავდასხმისათვის დაექირავებინათ ტერორისტები ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა თეთრი სახლის პრეს-მდივანს რ. პოპადიუკს სთხოვეს განემარტა „ნიუსუიკის" ცნობა. მან განაცხადა, ამ საკითხზე არავითარი ინფორმაცია არა მაქვსო. პრეზიდენტი ბუში მაინც აპირებს მონაწილეობის მიღებას ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემაზე უმაღლესი დონის თათბირში, რომელიც 15 თებერვალს კოლუმბიაში უნდა გაიმართოს.

ფოტოინფორმაცია



● ამერიკელებს, როგორც წესი, უყვართ ლამაზი, მხიარული და ექსტრავაგანტური პარადები. ქვეყანაში ისინი საკმაოდ ბლომად ეწყობა, წლის თითქმის ნებისმიერ დროს და ათასნაირი საბაბით. აი ახლაც, უამინდობის მიუხედავად, ნიუ-იორკის მრავალრიცხოვანი მცხოვრები და სტუმარი შეიკრიბა მანჰეტენის ცენტრში მორიგი პარადის სანახავად...

საქდესის ფოტო.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 20 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 17.35 — საინფორმაციო გამოშვება. 17.45 — ოდეს კაცსა დაეჭირვოს" (გამეორება). 18.25 — მოსწავლეთათვის. „საუბრები დიპლომატიაზე". 18.55 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.20 — ფაზისი „მსოფლიოს გარშემო". 20.00 — მოამბე. 20.35 — თეატრალური აფიშა. 21.05 — ახალგაზრდობისათვის — „სტუდენტური ფორუმის შემდეგ". 22.00 — „ვრემია". 23.00 — „ფილმის შუქ-ჩრდილი". ქართული მხატვრული ფილმი „ამბავი ივანე კოტორაშვილისა.

მეორე პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13,50 — მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელი სამეფო ამალა". I-II სერია. 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.35 — საინფორმაციო გამოშვება. 17.45 — „ოდეს კაცსა დაეჭირვოს" (გამეორება). 18.25 — მოსწავლეთათვის. „საუბრები დიპლომატიაზე". 18,55 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.20 — „ფაზისი" მსოფლიოს გარშემო. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი". I-II სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 9.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სიყვარულით და გულისტკივილით". I და II სერია. 12.00 — ჰოკეი. შვეციისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. 16.45 — მუსიკალური საგანძური. 17.35 — ბავშვის საათი ინგლისური ენის გაკვეთილითურთ. 18.35 — ისტორია და თანამედროვეობა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. 19.20 — რეკლამა. 19.25 — ჰოკეი. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. შესვენებისას — დღეს მსოფლიოში. 22.00 — „ვრემია". 23.00 — „სიყვარულით და გულისტკივილით". II სერია. 0.05 — „მშვენიერია მოსკოვ-ქალაქი". II სერია. 0.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ორი ცივილიზაციის შეხვედრა". III ფილმი. 9.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 — გერმანული ენა. 10.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.55 — გერმანული ენა. 11.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარჯნების იდუმალი სამყარო". 11.35 და 12.35 — ზოგადი ბიოლოგია. X კლას 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — „ორი ცივილიზაციის შეხვედრა". III სერია. 13.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოცარტი". II სერია. 14.25 — თურქული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტ აზერბაიჯანის სსრ. 14.50 — დოკუმენტური ფილმი „ექიმი ნაზლოიანი". 17.40 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „მოცარტი". II სერია. 19.00 — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10597 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარაულის ქ. 1 2 3 4 5 ~~6 7 8~~ 9 10 11 12 13 14